საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგიერიც ბოჭდ-ვუტი სიფაქვაა, ფაქტიურებით და ჭიტებით ბუტ-თის გაფანა ყველა უკარტისიბაგზე უსაძაგლესია.

ორშაბათი, 3 აპრილი. 2023 წ. №38 (9570) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი

ნუ გეშინია, მკისთველო!

...მერმე შინათ აიშალნენ, ძმამ მოუდვა ძმასა ყისტი,

თავის თავსა ხმალი ისვეს, გულთა მოიხვედრეს ხიშტი!

ქართული დემოკრატიისა და სიტყვის თავისუფლების დღე პარლამენტში

სალომე ზურაბიშვილი:

31 მარტი ჩვენთვის ისტორიულად უაღრესად მნიშვნელოვანი თარიღია, როცა ქართველმა ერმა რეფერენდუმით საკუთარი მომავალი გადაწყვიტა.

„აღსრულდა ნება ქართველი ერისა“, – ამ სიტყვებით 9 აპრილს ზვიად გამსახურდიამ გამოაცხადა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა. მან შეძლო ამ მიზნის ირგვლივ ერის გაერთიანება და ქვეყნის საკუთარ გზაზე მტკიცედ დაყენება. თქვენს წინაშე გამოსვლისთვის, სწორედ, ეს მეტად სიმბოლური დღე ავარჩიე, რამეთუ საქართველო დღესაც, გადამწყვეტი არჩევანის წინაშე დგას. ისევე, როგორც მაშინ, ეროვნული ინტერესი, ხელისუფლებისგან მოითხოვდა გამბედავი ნაბიჯის გადადგმას, ახლაც, ეროვნული ინტერესი, მისგან მოითხოვს ქვეყნის სამშვიდობოზე გაყვანას.

31 მარტს და 9 აპრილს ხელისუფლება ემსახურებოდა ქართველი ხალხის და ქვეყნის ეროვნულ ინტერესს. დღესაც ეროვნული ინტერესი და ხალხის გამოკვეთილი ნება თანხვედრაშია, მიზანიც ნათელია – ეს ევროპული მომავალია. ხელისუფლებამ კი დღესაც, უნდა აღასრულოს ქართველი ერის ნება! სწორედ ამისთვის მოგცათ თქვენ ხალხმა მანდატი, სწორედ ამისთვის ხართ აქ, და ამიტომ მინდა შეგახსენოთ კონსტიტუციაში თქვენს მიერვე ჩაწერილი მუხლი.

იხ. 2-3 გვ.

თავის მოტყუება აღარ შეიძლება!

გაკვეთილიდან სახელწოდებით „სალომე ზურაბიშვილი“, იმედია, სწორი დასკვნები გაკეთდება!.. 4

იხ. 5 გვ.

„მამულიშვილნო, ამ ჩვენს ტანჯულ მიწას, მტერი გვეცილება დაუძინებელი, აუცილებელია დაცვა მამულისა, სიცოცხლე არ არის აუცილებელი!“

„ყველა ნიჭზე ძლიერია, ქვეყნის დაცვის ნიჭი!“

გულო სანამ გული გძვია!..

სახალხო ექიმი ნოდარ ემუხვარი, „ჰელსიკორი“ და კლინიკის ჯადოქრები...

იხ. 6-7 გვ.

Healthy core

ექიმი პირველ რიგში უნდა იყოს პიროვნება!

ᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲝᲬᲧᲣᲔᲑᲐ

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲨᲘ

ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲬᲚᲘᲣᲠᲘ ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐ, 2023 ᲬᲚᲘᲡ 31 ᲛᲐᲠᲢᲘ

(ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ)

ᲛᲣᲮᲚᲘ 78: „ᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲣᲠᲛᲐ ᲝᲠᲒᲐᲜᲝᲔᲑᲛᲐ ᲗᲐᲕᲘᲐᲜᲗᲘ ᲣᲤᲚᲔᲑᲐᲛᲝᲡᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲤᲐᲠᲒᲚᲔᲑᲨᲘ ᲛᲘᲘᲦᲝᲜ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲖᲝᲛᲐ ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲐᲢᲚᲐᲜᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲮᲔᲚᲨᲔᲙᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐᲨᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲠᲣᲚᲘ ᲘᲜᲢᲔᲒᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲡᲐᲧᲝᲤᲐᲓ“.

ამიტომ დღეს არ შემიძლია, არ შეგახსენოთ სად იდექით გუშინ, როცა ხალხის მიერ მინიჭებულ მანდატის შესრულებას შეუდექით.

თქვენ იყავით ხელისუფლება, რომელმაც აღასრულა ხალხის ნება, დაამარცხა ავტორიტარიზმი და დააბრუნა ქვეყანა დემოკრატიულ სამყაროში.

თქვენ იყავით ხელისუფლება, რომელმაც არჩევნებით მშვიდობიანად, რევანშიზმის გარეშე, გადაიბარეთ ხელისუფლება, შეუდექით სამართლიანობის აღდგენას, ყოფილ პრეზიდენტთან კოჰაბიტაციას (ქვეყნის სახის, დემოკრატიული სისტემის და რეპუტაციის დასაცავად), თქვენმა ხელისუფლებამ თავი მოუყარა თითქმის ყველა მაშინდელ ოპოზიციურ ძალას და შექმნა მრავალპარტიული მმართველი კოალიცია, გაათავისუფლა მიზნესი ტერორისა და წნეხისგან, დაუბრუნა მედიასივრცეს პლურალიზმი და სიტყვის სრული თავისუფლება.

საგარეო მიმართულებით, თქვენმა ხელისუფლებამ გაამყარა ქვეყნის ევროატლანტიკური კურსი, დაამსხვრია სურათი და წაართვა წინა ხელისუფლებას ერთგვარი მონოპოლია პროდასავლურობაზე.

2012 წელს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა მიიღო პროევროპული, პოლიტიკური გადაწყვეტილება და პირველი მისი საერთაშორისო ვიზიტი ბრიუსელში განახორციელა.

2014 წელს ხელი მოეწერა ასოციირების შეთანხმებას, ხოლო 2016 წელს მიღწეულ იქნა ვიზალიბერალიზაცია. 2018 წელს საქართველოს კონსტიტუციაში ჩაიწერა ჩვენი ევროპული მომავალი. ამავე წელს, ვფიქრობ, ჩემი საპრეზიდენტო კანდიდატურის მხარდაჭერაც ამ ევროპული გზის ნაწილი იყო. 2019 წელს ჩატარდა ბათუმის წარმატებული საერთაშორისო კონფერენცია – „საქართველოს ევროპული გზა“ უამრავი უცხოელი სტუმრის მონაწილეობით. 2021 წელს კი თქვენ იყავით ის ხელისუფლება, რომელიც ხალხს დაჰპირდა, რომ 2024 წლისთვის საქართველო ევროკავშირის წევრობაზე განაცხადს გააკეთებდა.

ამ ევროპულ გზას თქვენ, მმართველი პარტია ერთხმად „ჩვენ ცივილიზაციურ არჩევანს“ უწოდებდით.

ამიტომ ახლა, არ შემიძლია არ გითხრათ, თუ არ გკითხოთ,

სად დგახართ და რატომ ჩამოშორდით ხალხის ნებას და მისგან მიღებულ მანდატს, რომელსაც აქამდე პირნათლად ასრულებდით.

ახლა გეტყვით. დღეს თქვენ ხართ ხელისუფლება, რომელმაც ნელ-ნელა დაიწყო ფერისცვალება. სახელმწიფო ინსტიტუტების, როგორც ქვეყნის დემოკრატიის ქვაკუთხედის, გაძლიერების ნაცვლად ძლიერდება ერთპარტიული სისტემა და მისი გავლენები. დაჩქარებულ რეჟიმში მიღებული კანონები, (მოსმენების კანონი, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გაუქმება, მოსამართლეების გამწესების წესში ცვლილებები და უცხოელი აგენტების კანონი) ემსახურება არა ქვეყნის დემოკრატიის გაძლიერებას, ან მოქალაქეების კეთილდღეობას, არამედ ძალაუფლების გამყარებას და გახანგრძლივებას.

ქვეყნის მომავლისთვის აუცილებელი სასამართლო რეფორმა კი ჩიხშია შესული, თქვენმა ხელისუფლებამ არ გაარღვია ის მოჯადოებული წრე, რომელზეც წლებია ერთი და იგივე ადამიანები ტრიალებენ, რაც ასევე შეიძლება ემსახურებოდეს ძალაუფლების გამყარებას.

„ქართული ოცნებიდან“ ნელ-ნელა გადინება დაიწყეს განსხვავებული აზრისა და პოლიტიკური გემოვნების ადამიანებმა, თქვენს რიგებში უკვე აღარ ისმის არც ერთი ოდნავ განსხვავებული აზრი, რადგან ეს ავტომატურად მანდატის დატოვებას ნიშნავს. დაიწყო პარტიის გავლენის გაძლიერება მთავრობასა და პარლამენტზე, პარტია გადაიქცა გადაწყვეტილებების მიღების სივრცედ, პარტიის თავმჯდომარე საკუთარ პოზიციას წინასწარ აცხადებს ყველა პოლიტიკურ საკითხზე, და რაც მთავარია, ბუნდოვანი გახდა გადაწყვეტილებების მიღების პროცესი, რომ არაფერი ვთქვა ღია დისკუსიაზე.

თქვენ ხართ ხელისუფლება, რომელიც ბოლო წლებში გადადგმული გაუგებარი ნაბიჯებით უპირისპირდება ქვეყნის საგარეო მიზანს და ხალხის მანდატს.

2019 წელს, გავრილოვის ჩამოყვანით და აქ დასმით, ქვეყნის მიმართ პირველად გააჩინეთ ეჭვები და კითხვის ნიშნები, თუმცა რეალურად ხელისუფლების საგარეო კურსის ფერისცვალება 2021 წელს იწყება, როდესაც ქართულ პოლიტიკას ტოვებს „ქართული ოცნების“ მაშინდელი პარტიის თავმჯდომარე, ბატონი ბიძინა ივანიშვილი, იწყება დიდი გაუგებრობა იმაზე, თუ ვინ არის პასუხისმგებელი ამ ახალ კურსზე.

ამის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია, პირდაპირ ვიტყვი, ევროპული საბჭოს უმაღლესი ხელმძღვანელის შეურაცხყოფა და მისი ჩართულობით შედგენილი დოკუმენტის ისე ანულირება, რომ არავინ ჩათვალა საჭიროდ თუნდაც მისი გაფრთხილება. იმავე წელს უარი თქვით, ევროკავშირის სესხზე. არასდროს აღარ დაამთავრეთ ანტიევროპული რიტორიკა, ჩვენი პარტნიორების დადანაშაულება და შეურაცხყოფა. ეს ყველაფერი კი, ბოლოს იმ ზომამდე მივიდა, რომ ევროკავშირის ყოფილი ელჩი ქვეყნიდან საყვედურებით და ბრალდებებით გავაცილეთ, ძალიან არაქართული მოქცევით.

უკრაინასთან მიმართებაში კი, ვერც დიპლომატია გამოვიჩინეთ, ვერც გონიერება და ვერც ჩვენთვის შესაფერისი ისტორიული სოლიდარობა.

დიახ, ჩვენ ვუერთდებით გაეროში რეზოლუციებს, თუმცა ყველა სხვა მორალური, პოლიტიკური სოლიდარობის გამოხატვას ვერიდებით, თუ ვემიჯნებით. 25 თებერვალს, სრულიად უადგილო ადგილას და დროს, ვაცხადებთ, რომ სანქციებს არ ვუერთდებით, მაშინ, როდესაც პირიქითაა და შეგვიძლია, ვთქვათ, რომ ჩვენ ვერ და არ დავაწესებთ ჩვენს ეროვნულ სანქციებს, მაგრამ ვუერთდებით საერთშორისოს – მეტს არავინ არაფერს გვთხოვდა არც ჩვენ და არც მოლდოვას. ასევე, იმ დროს, როცა მთელმა ევროპამ საჭიროდ მიიჩნია, გამიჯვნოდა ბელარუსს, ჩვენ გავუფრთხილდით მათ და არ შევუერთდით ევროკავშირის მიერ დაწესებულ შეზღუდვებს. ამ დროს ბელარუსის პრეზიდენტი არ გაგვიფრთხილდა, არ გაუფრთხილდა ჩვენს ტერიტორიულ მთლიანობას, დაარღვია ოკუპაციის კანონი და პირდაპირ უღალატა არაღიარების პრინციპს – ახია ჩვენზე!

ბოლო ორი წლის განმავლობაში, შესამჩნევად ვუფრთხილდებით, რომ არ გავაღიზიანოთ რუსეთი, რაც შეიძლება, რომ ოკუპირებული ტერიტორიების მქონე ქვეყნისთვის გასაგებიც იყოს, მაგრამ გასაგები არაა იმავე ზრდილობით და მოწიწებით რატომ არ ვუფრთხილდებით ჩვენს მეგობრებს და პარტნიორებს. შედეგად დღეს გვაქვს დაზიანებული დიპლომატიური ურთიერთობები, პირველ რიგში, სწორედ იმ ევროპულ ქვეყნებთან და ინსტიტუტებთან, რომლებიც ტრადიციულად ითვლებოდნენ, როგორც ჩვენი მთავარი მხარდამჭერები.

ამ ბოლო ორი წლის რიტორიკით და ქმედებებით თქვენ წაშალეთ და შეუცვალეთ გეზი თქვენს 9-წლიან მმართველობას და გადაუხვიეთ თქვენი ხალხის და ამომრჩევლის ნებას, მანდატს.

ამ ყველაფრის შედეგად კი 2022 წლის 17 ივნისს საქართველომ ვერ მიიღო კანდიდატის სტატუსი.

ახლა კი, არ შემიძლია არ გკითხოთ, რატომ არ გესმით ხალხის დაუინებული მოთხოვნა?

ქართველმა ხალხმა არაერთხელ გამოხატა საკუთარი ნება და არჩევანი (31 მარტი, 9 აპრილი, 14 აპრილი, 26 მაისი) და დღესაც გასაგებად გეუბნებათ, რა მომავალი უნდა და სად არ უნდა.

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘ ᲗᲥᲕᲔᲜᲡ ᲒᲐᲡᲐᲒᲠᲝᲜᲐᲓ ᲡᲐᲛᲯᲔᲠ ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ – ᲐᲠᲐ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲫᲐᲮᲔᲑᲘᲗ, ᲐᲠᲐ ᲣᲪᲮᲝᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲠᲜᲐᲮᲘᲗ, ᲐᲠᲐ ᲓᲐᲙᲕᲔᲗᲘᲗ, ᲐᲠᲐ ᲤᲣᲚᲘᲗ, ᲐᲠᲐ ᲒᲐᲓᲐᲢᲠᲘᲐᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲐᲠᲐ ᲨᲔᲗᲥᲛᲣᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲔᲕᲠᲝᲞᲣᲚᲘ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ.

2020 ᲬᲚᲘᲡ 20 ᲘᲕᲜᲘᲡᲡ ᲒᲘᲗᲮᲠᲐᲗ, ᲠᲝᲛ ᲠᲣᲡᲔᲗᲘ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ, ᲐᲠᲪ ᲔᲠᲗᲘ ᲤᲝᲠᲛᲘᲗ ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲔᲠᲗᲘ ᲬᲐᲛᲘᲗ.

2022 ᲬᲚᲘᲡ 4 ᲛᲐᲠᲢᲡ ᲒᲘᲗᲮᲠᲐᲗ, ᲠᲝᲛ ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠ ᲥᲕᲔᲧᲜᲐᲡ, ᲣᲙᲠᲐᲘ�ნᲐᲡ ᲣᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ ᲡᲝᲚᲘᲓᲐᲠᲝᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲝᲠᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲔᲠᲗᲝᲑᲚᲘᲕ ᲔᲕᲠᲝᲞᲣᲚ ᲒᲖᲐᲡ ᲐᲚᲢᲔᲠᲜᲐᲢᲘᲕᲐ ᲐᲠ ᲐᲥᲕᲡ.

2023 ᲬᲚᲘᲡ 7-8 ᲛᲐᲠᲢᲡ, ᲒᲘᲗᲮᲠᲐᲗ, ᲠᲝᲒᲝᲠᲘ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲡᲣᲠᲡ, ᲓᲐ ᲠᲝᲛ ᲐᲠᲐᲡᲓᲠᲝᲡ ᲨᲔᲔᲒᲣᲔᲑᲐ ᲔᲕᲠᲝᲞᲣᲚᲘ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡ ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲕᲐᲡ.

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲫᲐᲮᲘᲚᲘ ᲣᲐᲦᲠᲔᲡᲐᲓ ᲛᲙᲐᲤᲘᲝ ᲓᲐ ᲜᲐᲗᲔᲚᲘᲐ – ᲔᲡ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲛ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲒᲐᲘᲒᲝ ᲓᲐ ᲓᲐᲘᲜᲘᲐᲮᲐ. ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲛ ᲙᲘ ᲕᲔᲠ ᲒᲐᲘᲒᲔᲗ, ᲠᲝᲛ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲗᲥᲕᲔᲜ ᲮᲐᲠᲗ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲜᲘ ᲓᲐ ᲗᲥᲕᲔᲜ ᲒᲐᲫᲕᲗ ᲛᲐᲜᲓᲐᲢᲘ, ᲗᲥᲕᲔᲜ ᲩᲐᲒᲐᲑᲐᲠᲐᲗ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲛᲐ ᲮᲐᲚᲮᲛᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲜᲔᲑᲘᲡ ᲐᲦᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐ.

ᲠᲐᲪ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲡᲘᲛᲐᲠᲗᲚᲔ ᲘᲧᲝᲡ, ᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲒᲠᲐᲚᲔᲣᲚᲝᲑᲔᲑᲘ ᲐᲥᲕᲡ ᲮᲐᲜ ᲒᲐᲣᲗᲐᲕᲔᲑᲔᲚᲘ ᲑᲝᲘᲙᲝᲢᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲒᲐᲤᲣᲭᲔᲑᲘᲗ, ᲮᲐᲜ ᲑᲠᲘᲣᲡᲔᲚᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐᲨᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲖᲘᲐᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲒᲖᲐᲕᲜᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲩᲐᲢᲐᲜᲘᲗ ᲓᲐ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲝᲜᲘᲠᲔᲑᲘᲗ, ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲚᲝᲛᲘᲡ ᲬᲘᲚᲘ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲖᲔ ᲛᲝᲓᲘᲡ.

ამიტომ რაც არ უდნა ეცადოთ, რომ შედეგის მიუღწევლობა სხვას გადააბრალოთ სხვადასხვა მეთოდებით – მოდელირებული სცენარებით, კონსპირაციებით, შეთქმულების თეორიებით და ხალხის შეურაცხყოფით, ეს არ შეცვლის ხალხის თვალში თქვენს პასუხისმგებლობას და მისი ნების არშესრულებას.

რაც არ უნდა ეცადოთ, ხალხი დაარწმუნოთ იმაში, რომ ევროპა ეწინააღმდეგება ჩვენს ეროვნულ ინტერესებს, ღირებულებებს, ან კიდევ მშვიდობას, შედეგს ვერ მიაღწევთ. ქართველმა ხალხმა საუკუნეზე მეტია რაც იცის რა არის ევროპა, თუ რატომ უნდა ევროპა და, რომ ევროპული ღირებულებები სრულ თანხვედრაშია ქართულ ღირებულებებთან.

თუ გადავხედავთ ევროპულ რეკომენდაციებს, აქ ჩვენთვის არაფერია უცხო, არ არის არც ერთი გაუცხოების საფრთხე, პირიქით, ჩვენი ტრადიციული ღირებულებების გამოძახილია.

რამ გაყო დეპოლარიზაცია და ჩვენი საუკუნოვანი ტოლერანტობა, შემწყნარებლობა?

რამ გაყო ევროპული მოთხოვნა სასამართლო რეფორმისა და ჩვენი ტრადიცია ქართული სამართლის ძეგლებზე დაყრდნობილი და ჩვენში გამჯდარი სამართლიანობის მოთხოვნა?

რამ გაყო გენდერული თანასწორობა და ჩვენი ისტორიულად დაცული ქალის სამართლებრივი უფლებები (ბევრ სხვა ქვეყანაზე ადრე) და ქალთა მიმართ პატივისცემა?

რაც არ უნდა ეცადოთ და გაავრცელოთ ეს მეორე ფრონტის კონსპირაციული თეორიები, ქართველმა ხალხმა კარგად იცის, რომ ევროკავშირის შექმნის იდეა სწორედ მშვიდობას ემსახურება და არა ომს. ევროკავშირი საქართველოში პირდაპირ ემსახურება ჩვენი ქვეყნის მშვიდობას, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის სახით, და მშვიდობიან განვითარებას. ამდენად, რაც არ უდნა ეცადოთ, რომ ეს მოდელირებული სცენარები, რომლებიც წინა ხელისუფლებას სჩვეოდა და საეჭვოდ ემთხვევა რუსეთის და სეპარატისტების გზავნილებს, თავს მოახვიოთ ხალხს, შედეგს ვერ მიაღწევთ. ფაქტია, რომ თბილისი და მოსკოვი ამ მეორე ფრონტის თემაზე ერთ ენაზე საუბრობს.

რაც არ უნდა ეცადოთ, რომ დაამტკიცოთ თითქოსდა ევროპული და ჩვენი ეროვნული ინტერესი ერთმანეთთან წინააღმდეგობაშია, რეალობას ვერ გაექცევით, რადგან ტერიტორიის დაცვა, დეოკუპაცია, თავდაცვითი ძალების გაძლიერება,

აღარ შეიძლება!

მოსახლეობის უსაფრთხოება, ეკონომიკისა და განათლების განვითარება ეს ყველაფერი წარმოუდგენელი და შეუძლებელია ჩვენს პარტნიორებთან მჭიდრო კავშირისა და თანამშრომლობის გარეშე.

ერთი ვინმემ მითხრას შავი ზღვის წყალქვეშა კაბელის გაყვანა, რომლითაც ესოდენ აპელირებთ, ვისი დაფინანსებით ხორციელდება და ვისთან გვაკავშირებს თუ არა ევროპასთან?

ერთი ვინმემ მითხრას, ევროპული საგანმანათლებლო და სამეცნიერო სივრცეში ჩართვის გარეშე როგორ განვითარდებოდა იზოლაციაში მყოფი ჩვენი განათლების სისტემა?

დაბოლოს, არ უნდა დავივიწყოთ, რომ ევროპულ სტანდარტებთან მიახლოებამ, შემოიტანა ისეთი მნიშვნელოვანი პროგრესი, როგორიცაა, შრომის უსაფრთხოება, შრომის კოდექსის თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა, უსაფრთხოების ნორმები, გარემო დაცვის სტანდარტები და ა.შ. საქართველოს ეროვნული ინტერესის დაცვა იზოლაციაში ყოფნით შეუძლებელია და ჩვენს ევროპულ პერსპექტივას ალტერნატივა არ გააჩნია!

* * *

თუ აქამდე ვისაუბრე თქვენ მიერ ბოლო პერიოდში არჩეულ ბუნდოვან და ჩემთვის, ხალხისთვის გაუგებარ გზაზე, იმდენი მესმის, რომ თქვენთვისაც, როგორც ამას ხშირად აღნიშნავთ, გაუგებარია ჩემი საუბარი და მიზანი.

პრეზიდენტის როლი ევროპულ გზაზე

მიზანი, რომელიც გვაერთიანებს დღეს და გუშინ მე და ხალხს, იყო მაშინაც ჩემთვის გადამწყვეტი, როცა წარვდექი თქვენს წინაშე საპრეზიდენტო არჩევნებზე. და მეტიც, ეს ჩემი ცხოვრების უცვლელი მიზანი იყო – საქართველოს გაყვანა იმ სამყაროში, სადაც მისი იდენტობა, დამოუკიდებლობა, თავისუფლება და მომავალი ხელშეუხებელი იქნება. ანუ, საბჭოთა, თუ რუსული წნეხიდან გათავისუფლების დასრულება და საქართველოს საუკუნოვანი ევროპული მისწრაფების აღსრულება!

ემიგრაციაში, სადაც გავიზარდე, ეს მიზანი იყო ერთადერთი მამოძრავებელი. საბჭოთა ოკუპაციის 70 წლის მანძილზე პოლიტიკური ემიგრაციის ბრძოლა ამ ერთ მიზანს ემსახურებოდა. მართალია, მას არ ჰქონდა ბერკეტი, რათა დაემარცხებინა საბჭოთა ძალა, მაგრამ ჰქონდა სხვა ძალა – რწმენა თავისუფალი მომავლისა! ბრძოლა ქართული ენის, კულტურისა და იდენტობის შენარჩუნებისთვის, დამოუკიდებელი საქართველოს იდეის გადარჩენისთვის და მისი ადგილის თავისუფალ და დემოკრატიულ სამყაროს ერთეულად დამტკიცებისთვის. ვინც მაშინ ფიქრობდა, რომ ეს იმედი და რწმენა რეალობას აცდენილი იყო, თვითონვე აღმოჩნდა ისტორიის მიღმა. იგივე ელის მათ, ვინც დღესაც ვერ ხვდება, რომ მსოფლიო იცვლება და ხალხის ნების წინააღმდეგ ვერავინ იმარჯვებს. როგორც გუშინ საბჭოთა კავშირს, რუსეთსაც ელის ახალ რეალობას გაუსწოროს თვალი.

იგივე მიზანი მამოძრავებდა, როცა ვარდების რევოლუციის შემდეგ, სააკაშვილის მიერ შემოთავაზებულ საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობას დავთანხმდი. დღესაც არ ვნანობ და კიდევაც ვამაყობ მიღწეული შედეგით – რუსეთის ბაზების გაყვანა ქვეყნიდან (ანუ ერთადერთი ორმხრივი შეთანხმება, ორნახევარი საუკუნის მანძილზე, რომელიც რუსეთმა არ დაარღვია, არ მკითხოთ რატომ) და ჩვენი დიპლომატიის ახალ საწყისებზე დაყენება, ზუსტადაც ჩვენი ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე. ორივე ემსახურებოდა მთავარ მიზანს, სახელმწიფოს დამოუკიდებლობისა და დემოკრატიის გამყარებას.

ჩემი და იმდროინდელი მმართველი ჯგუფის გზები სწორედ მაშინ გაიყო, როცა ძალაუფლების შენარჩუნებას დაუმორჩილეს მთავარი გამოცხადებული მიზანი – ევროპული, თავისუფალი, დემოკრატიული მომავალი. მე კი არ შევცვლილვარ, ისინი შეიცვალნენ!

იგივე მიზანი მამოძრავებდა საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებში, რწმენა, რომ ახალი ხელისუფლება გაგვიყვანდა სამშვიდოობოზე და განახორციელებდა ჩვენს ევროპულ ოცნებას „ქართულ ოცნებასთან“ ერთად. ახლაც იგივეს ვიტყვი: მე არ შევცვლილვარ და მინდა მჯეროდეს, რომ თქვენც არ შეცვლილხართ! ერთ რამეში ნამდვილად ვარ დარწმუნებული, რომ ქართველი ხალხის ნება უცვლელია!

ახლა უნდა გიპასუხოთ იმაზე, თუ რა გააკეთა პრეზიდენტმა ქვეყნის ევროპული მიზნისთვის და ხალხის ნების აღსასრულებლად. ეს კითხვაც ხშირად ისმის.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს პრეზიდენტი მოქმედებს საქართველოს კონსტიტუციის თანახმად:

საქართველოს პრეზიდენტი არის საქართველოს სახელმწიფოს მეთაური, ქვეყნის ერთიანობისა და ეროვნული დამოუკიდებლობის გარანტი.

საქართველოს პრეზიდენტი არის საქართველოს თავდაცვის ძალების უმაღლესი მთავარსარდალი.

საქართველოს პრეზიდენტი წარმოადგენს საქართველოს საგარეო ურთიერთობებში.

ასე რომ, რაც არ უნდა ეცადოთ, რომ ხან იმპიჩმენტით დამემუქროთ, ხან საკონსტიტუციო სასამართლოში მიჩივლოთ, ხან რომელ ძალას მიმაწებოთ, ხან ეცადოთ და ამიკრძალოთ საერთაშორისო ვიზიტები, ხან ეცადოთ და შემიზღუდოთ რეგიონებში ადგილობრივ ხელისუფლებასთან ურთიერთობა, ხან ქართული დამიწუნოთ, ხან ცილი დამწამოთ მე და ჩემს ოჯახს, და მოკლედ, რა აღარ დამაბრალოთ, მაინც ვერ შეცვლით ჩემს მიზანს და მეც ვერ შემცვალეთ და ვერც შემცვლით მომავალში.

როგორც ამბობენ „საქმემან შენმან წარმოგაჩინოსო“ და ამდენად, ახალა გადავალ საქმეზე.

ჩვენი მოქალქეების უფლებების დაცვა ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ წარმოადგენდა და წარმოადგენს ჩემს მოტივაციას ორმაგი მოქალაქეობის საკითხის ინიცირებისას და ეს მიზანი მიღწეული იქნა ჩემი დეპუტატობის დროს. ეროვნული ინტერესი მოითხოვს, რომ ჩვენ არ დავკარგოთ არც ერთი ქართველი, რომელიც მონაწილეობდა 1991 წლის რეფერენდუმში და არ დავკარგოთ მათი შთამომავლები. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ უნდა კიდევ გავამარტივოთ მოქალქეობის მიღება ჩვენი ემიგრანტებისთვის, ჩვენს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობისთვის და დღეს უკვე რუსეთიდან დაბრუნებულებისათვის. ეს მათთვის ბევრად მნიშვნელოვანია ვიდრე რაღაც ფრენების აღდგენა.

თუმცა, სამწუხაროდ, ჩემი უწყვეტი მცდელობების მიუხედავად, ეს საკითხი ბოლომდე გადაწყვეტილი არაა და მოითხოვს მიდგომის შეცვლას, ეროვნული ინტერესის გააზრებას, მით უმეტეს დღევანდელ დემოგრაფიულ პირობებში. აქვე მინდა გამოვიყენო ეს ტრიბუნა და კატეგორიულად გამოვაცხადო და ხალხს გავაგებინო, რომ პრეზიდენტს არა აქვს უფლება, შეცვალოს მოქალაქეობის კომისიის მიერ უმრავლესობით მიღებული გადაწყვეტილება, ამ კომისიაშია მიდგომა შესაცვლელი. ამიტომ, ხალხი არ უნდა იყოს შეცდომაში შეყვანილი, თითქოსდა პრეზიდენტს შეუძლია შეცვალოს კომისიის უარყოფითი გადაწყვეტილება.

ჩვენი ხალხის ნების და მისწრაფების დაცვა ჩემი საქმიანობის მთავარი მიზანი და არსია, რაც გამყარებულია კონსტიტუციის 78-ე მუხლით.

ჩემი პრეზიდენტობის პირველივე დღიდან, ვიყენებ ჩემს ხელთ არსებულ ყველა შესაძლებლობას, რაც, როგორც იცით, არც ისე ბევრია: ეს არის პირადი კონტაქტები, კავშირები, ოფიციალური ვიზიტები, საერთაშორისო ტრიბუნები და საერთაშორისო მედია, იმისთვის, რომ დავიცვა და გავამყარო ქვეყნის ევროპული მისწრაფებები და მიღწევები. მე, სხვათა შორის, თქვენ გიცავთ.

უფრო დეტალურად, 2021 წლის მარტში საქართველოში, ჩემი ძალისხმევით განხორციელდა შარლ მიშელის ვიზიტი და მისი ანუ, ევროკავშირის, ისტორიული ჩართულობა ქვეყანაში არსებული პრეზისის გადასაჭრელად. შედეგი, 19 აპრილს, ორგელიანების სასახლეში მიღწეული იქნა, სადაც მსოფლიომ ნახა, დემოკრატიული, ერთად მდგარი ქვეყნის სურათი – ოპოზიცია, უმრავლესობა, პრეზიდენტი და ევროკავშირი. დღეს სად ვართ ამას აღარ დავუგრუნდები.

2021 წლის 23 ივნისს, ჩემი ძალისხმევით ჩვენს მეგობარ და პარტნიორ ქვეყანაში, უკრაინაში, 15 წლის შემდეგ ხორციელდება საქართველოს პრეზიდენტის ოფიციალური ვიზიტი, დიპლომატიური ურთიერთობები უბრუნდება ნორმალურ რეჟიმს და მიუხედავად ზოგი ქართველი უკრაინელის მცდელობისა, წარუმატებელი ყოფილიყო ან საერთოდ არ შემდგარიყო ვიზიტი, შესაძლებელი გახდა პეტრას სამიტზე მუშაობა ერთად დაგვეწყო.

2021 წლის 19 ივლისს, საქართველოში ჩემი ძალისხმევით, განხორციელდა ისტორიული უმაღლესი დონის პეტრას სამიტი - საქართველო, უკრაინა, მოლდოვა და ევროკავშირი. სადაც მსოფლიომ დაინახა, რომ საქართველო ევროპულ გზაზე არის ლიდერი, ინიციატორი და მოწინავე. სამიტის ბოლოს საამაყო, საზეიმო იყო ჩვენი ერთობა: პრეზიდენტი, პრემიერი და ჩვენი მეგობრები ერთად და იმედიანად ვუყურებდით ჩვენს ევროპულ მომავალს. დღეს სად ვართ, ამას აღარ დავუბრუნდები.

ასევე, ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანისა და ევროპის გზის დაცვის სხვადასხვა ეტაპზე გადავდგი სხვადასხვა ნაბიჯები.

გამოვიყენე ჩემი დისკრეციული უფლება, (ყველამ იცის, რომ ეს იყო ჩემთვის მძიმე გადაწყვეტილება), თუმცა სამწუხაროდ, ამ სამმა შეწყალებამ არც პოლიტიკურ შედეგზე და არც დეპოლარიზაციზე არ იქონია სასურველი გავლენა.

გამოვიყენე ასევე ჩემი კონსტიტუციური ბერკეტი და კანონებს, რომლებიც ეწინააღმდეგებოდნენ ჩვენი ევროპული ინტეგრაციის პროცესს, დავადე ვეტო და მომავალშიც ასე მოვიქცევი, როცა ევროპულ გზას დაემუქრება საფრთხე.

გამოვედი ეროვნული თანხმობის პროცესის დაწყების ინიციატივით, რომელიც მიზნად ისახავდა პოლარიზაციის შემცირებას და საზოგადოებრივი შეთანხმების მიღწევას ქვეყნის მთავარი ეროვნული ინტერესების ირგვლივ. ამ პროცესმა სათავეში მიიღო ხალხის მხარდაჭერა, თუმცა უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ პროცესი, თავისი პირველადი ფორმით ვერ გაგრძელდა და ვერ გაგრძელდება. დღეს კი უკვე ნათელია, რომ საზოგადოება სრულად დეპოლარიზებულია და შეჯერებულია ქვეყნისთვის ორ მნიშვნელოვან საკითხზე: ევროინტეგრაცია და სოლიდარობა უკრაინისადმი. ამ მიღწევას მე ვერ დავიბრალებ, მაგრამ ჩემს სრულ მხარდაჭერას ვუცხადებ და სწორედ ამ მიზნით მივმართე რუსთაველზე შეკრებილ მოქალაქეებს 2022 წლის 4 მარტს და ახლახან ნიუ-იორკიდან 8 მარტს.

იმის მიუხედავად, რომ კანდიდატის სტატუსის არმიღების შემდეგ ჩვენი რეპუტაცია დაზიანებულია, ჩემს მოვალეობად მივიჩნიე, რომ კიდევ ერთხელ განმეახლებინა ჩემი საერთაშორისო აქტივობა, როგორც ოფიციალურ დონეზე ასევე საერთაშორისო მედიაში, რათა მომეხდინა ქვეყნის ევროპული ინტერესის დაცვა და პოზიციონირება იმ თემაზე, რომ ჩვენ მეორე უარს არც ვიმსახურებთ და არც უნდა მივიღოთ.

აქვე მივესალმები შარლ მიშელის ბოლო განცხადებას, რომელიც გვიხსნის შესაძლებლობის ახალ ფანჯარას – არა მხოლოდ სტატუს, არამედ მოლაპარაკებების გახსნას.

დაბოლოს, ახლახან მივიღე ევროპარლამენტის პრეზიდენტის მოწვევა ევროპარლამენტში სიტყვით გამოსვლაზე, რაც 2010 წლის შემდეგ არ მომხდარა. 18 აპრილს, ევროპარლამენტს მივმართავ სიტყვით, ვიცი, ეს არ იქნება ადვილი, მაგრამ აუცილებელია, რომ ჩვენი ხალხის სათქმელი გაიგოს და მოისმინოს ევროპამ.

პრეზიდენტის როლი ქვეყნის წინაშე ამით არ მთავრდება. დღეს ვართ კრიზისის წინაშე და ამ დროს ლოგიკურია, რომ როცა ხალხს და ხელისიუფლებას ერთმანეთთან ლაპარაკი უჭირთ, სწორედ პრეზიდენტის ინსტიტუტია ის საკონსტიტუციო ორგანო, რომელიც დამაბალანსებელი და გამაერთიანებელია. ასეთი მაგალითები სულ ახლახანს გვაჩვენა ისრაელის პრეზიდენტმა ისაკ ჰერცოგმა და ადრე იტალიის პრეზიდენტმა სერჯო მატარელამ.

ამდენად, ასეთ ვითარებაში, სრულად მაქვს გააზრებული პრეზიდენტის ინსტიტუტის ძალა, ზუსტად ვიცი, რომ ახლა დაყოფის და დაპირისპირების დრო არაა.

ვაპირებ, რომ სრულიად გამოვიყენო ჩემი ყველა შესაძლებლობა იმისთვის, რომ მაქსიმალურად იყოს დაცული და აღსრულდეს ხალხის ნება. ეს მოითხოვს ქვეყნის სრულ კონსოლიდაციას და გაერთიანებას.

დღეს ყველანი ვართ არჩევანის წინაშე, ხელისუფლებას, რომელსაც კვლავ აქვს შანსი დაუბრუნდეს თავის მანდატს, საზოგადოებას, რომელმაც უნდა შეინარჩუნოს სტაბილურობა, რომლის გარეშეც ჩვენ ყველანაირ შანსს ვკარგავთ.

თავის მოტყუება აღარ შეიძლება!

ერთი მხრივ, 12 რეკომენდაციის მხოლოდ ფორმალური შესრულებით და ხალხის მხარდაჭერის გარეშე, ხელისუფლება შედეგს ვერ მიაღწევს. დღეს მოვისმინეთ სრულად ეს ფორმალური შესრულება.

მეორე მხრივ, მარტო აქციებით სამოქალო სექტორი, თუ პოლიტიკური პარტიები შედეგს ვერ მიაღწევს.

რეალური საქმის შესრულების გარეშე და მისი სწორი ფორმით წარდგინების და დანიშნულების ადგილზე მიტანის გარეშე ჩვენ ხალხის ნებას ვერ აღვასრულებთ.

ვინაიდან აქამდე ვერ მოხერხდა, რომ საქართველოს ევროპული პოზიციები და იმიჯი დაცული, გამყარებული ყოფილიყო ჩვენს ევროპელ პარტნიორებთან, სწორედ ამიტომ გადავწყვიტე აქტიურად ჩავერთო ამ პროცესში და ხელი შევუწყო ერთიან და კონსოლიდირებულ მუშაობას და ყველამ ერთად ისეთი რეალური შედეგი დავდოთ, რომელიც ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსს მოგვიტანს. ამ პასუხისმგებლობას ვიღებ იმიტომ, რომ ვარ ყველას პრეზიდენტი და არ წარმოვადგენ არც ერთ მხარეს, თუ არა ქართველ ხალხს.

ჩვენ არ უნდა გავუშვათ ჩვენი შანსი და ვინც ამას შეძლებს, ის ასევე შეძლებს, რომ თქვას: „ამ დღეს აღსრულდა ნება ქართველი ერისა“.

გილოცავთ დღევანდელ დღეს და ვულოცავ ქართველ ხალხს ამ ისტორიულ გამარჯვებას და სამომავლო გზაზე კიდევ მრავალ გამარჯვებას ვუსურვებ!“.

31 მარტი, 2023 წ.

გაკვეთილიდან სახელწოდებით „სალომე ზურაბიშვილი“, იმედია, სწორი დასკვნები გაკეთდება!..

პრეზიდენტის ყოველწლიური მოხსენება 40 წუთი გაგრძელდა და მთელი ეს დრო ხელისუფლებისა და მმართველი გუნდის კრიტიკას დაეთმო. ფრაქციების და პოლიტიკური ჯგუფების გამოსვლების შემდეგ, სალომე ზურაბიშვილმა დასკვნითი სიტყვით აღარ ისარგებლა. სალომე ზურაბიშვილის მთავარი გზავნილი ქვეყნის საგარეო კურსი და ევროპული მომავალი იყო.

პრეზიდენტმა ისაუბრა თუ რა ნაბიჯები გადაიდგა „ქართული ოცნების“ პირობებში ევროატლანტიკური ვექტორის გასამყარებლად და ამ წარმატებების ფონზე იკითხა, სად დგას ახლა მმართველი პარტია. მმართველი გუნდის შემდეგ ზურაბიშვილი ოპოზიციურ პარტიებს მიუბრუნდა და მათ ბოიკოტის გამო უსაყვედურა და შეახსენა, რომ ქვეყნის ევროპული მომავლის საწინააღმდეგოდ კონკრეტული ნაბიჯები აქვთ გადადგმული.

ზურაბიშვილმა ხელისუფლების წარმომადგენლებს მიმართა და განაცხადა, რომ:

„რაც არ უნდა ეცადოთ და გაავრცელოთ მეორე ფრონტის კონსპირაციული თეორიები, ქართველმა ხალხმა კარგად იცის, რომ ევროკავშირის შექმნის იდეა სწორედ მშვიდობას ემსახურება და არა ომს. ევროკავშირი საქართველოში პირდაპირ ემსახურება ჩვენი ქვეყნის მშვიდობას, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის სახით და მშვიდობიან განვითარებას.

ამდენად, რაც არ უნდა ეცადოთ, რომ ეს მოდელირებული სცენარები, რომლებიც წინა ხელისუფლებას სჩვეოდა და საეჭვოდ ემთხვევა რუსეთისა და სეპარატისტების გზავნილებს, თავს მოახვიოთ ხალხს, შედეგს ვერ მიაღწევთ. ფაქტია, რომ თბილისი და მოსკოვი ამ მეორე ფრონტის თემაზე ერთ ენაზე საუბრობს. ერთი ვინმემ მითხრას შავი ზღვის წყალქვეშა კაბელის გაყვანა ვისი დაფინანსებით ხორციელდება და ვისთან გვაკავშირებს თუ არა ევროპასთან?

ერთი ვინმემ მითხრას, ევროპული საგანმანათლებლო და სამეცნიერო სივრცეში ჩართვის გარეშე როგორ განვითარდებოდა იზოლაციაში მყოფი ჩვენი განათლების სისტემა? საქართველოს ეროვნული ინტერესის დაცვა იზოლაციაში ყოფნით შეუძლებელია და ჩვენს ევროპულ პერსპექტივას ალტერნატივა არ გააჩნია!“

გადრა ამისა, ზურაბიშვილმა ხელისუფლება უკრაინის გამო გააკრიტიკა და აღნიშნა, რომ უკრაინასთან მიმართებით ვერც დიპლომატია გამოიჩინეს, ვერც გონიერება და ვერც ქვეყნისთვის შესაფერისი ისტორიული სოლიდარობა. მისი თქმით, ბოლო ორი წლის რიტორიკით და ქმედებებით ხელისუფლებამ თავის 9-წლიან მმართველობას გეზი შეუცვალა ხალხის და ამომრჩევლის ნებას და მანდატს გადაუხვია.

საპარლამენტო ტრიბუნიდან „ქართული ოცნების“ ლიდერმა მამუკა მდინარაძემ პრეზიდენტს მოუწოდა საზოგადოებისთვის განემარტა, თუ რა რისკის და საფრთხის ქვეშ აღმოჩნდებოდა ქვეყანა თუ სხვა გზას აირჩევდა.

მმართველმა გუნდმა პრეზიდენტს ისიც შეახსენა, თუ რა ნაბიჯები გადადგა უკრაინის მხარდასაჭერად ხელისუფლებამ.

„ჩვენ რომ უკრაინაში მოხალისე სამხედროები გაგვეშვა, ჩვენ რომ რუსი ეროვნების მოქალაქეებისთვის დევნა დაგვეწყო, ჩვენ რომ გვეძახა, ამ წვას გვირჩევნია ბომბების ცვენაო, ჩვენ რომ უკრაინის კონკრეტული მაღალჩინოსნების მოქმედებებს ავყოლოდით, ომისგან გადარჩენა როგორ შეიძლებოდა, ქალბატონო სალომე, ამას, ალბათ, გვასწავლით. ომისგან დაზღვევა როგორ შეიძლებოდა, რისკის ქვეშ პარტია ან რომელიმე პოლიტიკოსი ხომ არ იდგა, ქვეყანა იდგა რისკის ქვეშ“, – დასძინა **მამუკა მდინარაძემ**.

პარლამენტის საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის, **ირაკლი ქადაგიშვილის** განცხადებით, პრეზიდენტმა 12 რეკომენდაციის შესრულების გზაზე ძალიან ბევრი დამაზიანებელი განცხადება გააკეთა. პირველ რიგში, მისი გამოსვლა იყო რესტარტი პოლარიზაციის გაღრმავებისკენ. ყველა შესრულებულ რეკომენდაციას სალომე ზურაბიშვილმა ფორმალურად შესრულებული უწოდა.

დაციისთვის, არამედ მიზნის დაზიანებისთვის. ამ მიზნის დასაზიანებლად „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ გამოყენებული ყველა ცნობილი მესიჯი აქტიურად გამოიყენა. ამით ყველაზე მთავარი შეასრულა, რომ პოლარიზაცია გაეღრმავებინა“, – განაცხადა **ირაკლი ქადაგიშვილმა.**

პრეზიდენტს რიტორიკა დაუწუნა **დავით უსუფაშვილმა,** რომლის განცხადებით, მოისმინეს სახელმწიფოს გამრაზებული მეთაურის გამოსვლა. მისი თქმით, სალომე ზურაბიშვილი ორიოდე წლის წინ რომ გამრაზებულიყო, შეიძლება უფრო წინ ვყოფილიყავით. როგორც უსუფაშვილი აცხადებს, პრეზიდენტმა პარლამენტში გამოსვლით პიროვნული და ინდივიდუალური არჩევანი გააკეთა.

ოპოზიციასთან დაკავშირებით პრეზიდენტის კრიტიკას ღებულობს „ნაციონალური მოძრაობა“, თუმცა როგორც **ლევან ბეჟუაშვილი** აცხადებს, ქვეყნის მთავარი პრობლემა არის პოლიტიკა, რომელსაც ხელისუფლება ახორციელებს. დეპუტატის შეფასებით, როდესაც საუბარია ქვეყნის ევროპულ პერსპექტივებზე, საქართველოს პარტნიორები აცხადებენ, რომ ქართველ ხალხს ეკუთვნის კანდიდატის სტატუსი, ქვეყნის ხელისუფლებას კი – არა, ამიტომ პრეზიდენტმა არჩევანი უნდა გააკეთოს, თუ რომელ მხარეს დადგება იგი.

„გირჩის“ თავმჯდომარე, **იაგო ხვიჩია** თვლის, რომ პრეზიდენტის შეშფოთება იმაზე, რომ დასავლურ კურსს ვუხვევთ და ქართველი ხალხის არჩევანს გვერდს ვუვლით, სწორი კრიტიკაა.

„მე გავბედავ და საქართველოს პრეზიდენტს ქმედებებსაც მოვთხოვ. მათ შორის, მართლმსაჯულების მიმართულებით, სადაც საქართველოს პრეზიდენტს ბერკეტები აქვს და ამ ბერკეტებს შეწყალების ინსტრუმენტი ჰქვია. ევროკომისიის 12-პუნქტიანი რეკომენდაციიდან ყველაზე მნიშვნელოვანი სწორედ სასამართლო სისტემის რეფორმაა, ვინაიდან დასავლელი პარტნიორები დამოუკიდებელ სასამართლო ინსტიტუტებს ითხოვენ“, – აღნიშნა **იაგო ხვიჩიამ.**

ანალიტიკოს **ზაალ ანჯაფარიძის** შეფასებით, პრეზიდენტმა პარლამენტში მყოფ დიპლომატიურ კორპუსს უთხრა, რომ ეს ხელისუფლება არის პრორუსული და მის პირობებში როგორ უნდა მისცეთ ქვეყანას ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი. მისი თქმით, ფაქტობრივად, ნაციონალების მიერ 9 აპრილს დაგეგმილ აქციას და რადიკალური ოპოზიციის მოთხოვნებს ლეგიტიმაცია შესძინა.

„ამის შემდეგ, ვინ არის ის?! მე ველოდი „პრეზიდენტის“ ასეთ გამოსვლას და ვფიქრობ, ბევრი ელოდა, სხვა შინაარსი და პათოსი მისგან მართლაც წარმოუდგენელი იქნებოდა და შეუძლებელიც, რადგანაც მან ირჩია ის გზა, რაც ირჩია – გზა რომელიც მას აშორებს საქართველოს მოსახლეობისგან, უპირველეს ყოვლისა, მისი ამომრჩევლებისგან და აახლოებს მათთან, დესტაბილიზაციით და მოლოტოვის კოქტეილებით რომ სურთ ევროპისკენ გზის გაკაფვა. ჩვენი უახლესი ისტორიის მანძილზე საქართველოს საზოგადოებას არაერთი მწარე გაკვეთილი უგემია. ზოგჯერ გამოუტანია სწორი დასკვნები, ზოგჯერ ვერა. გაკვეთილიდან სახელწოდებით „სალომე ზურაბიშვილი“ იმედია, სწორი დასკვნები გაკეთდება“, – აცხადებს **ზაალ ანჯაფარიძე.**

ანალიტიკოს **ედიშერ გვენეტაძის** შეფასებით, პრეზიდენტად წოდებული რეზიდენტი სამკვდრო-სასიცოცხლოდ უპირისპირდება საქართველოს ხელისუფლებას, ხალხს, სახელმწიფოს.

„არ დაგავიწყდეთ ეს პრეზიდენტად წოდებული რეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი თავის დროზე ასე წერდა და გაჰკიოდა: „ზვიად გამსახურდია, როგორც დიქტატორი დაამხო დემოკრატიულმა ძალებმა, ამისათვის თენგიზ კიტოვანს, ჯაბა იოსელიანს, თენგიზ სიგუას და მთელ ოპოზიციას დიდი მადლობა!“ 31 მარტის გამოსვლიდან გამომდინარე, მკაფიო და ნათელია, რომ ეს პრეზიდენტად წოდებული ქალბატონი სინამდვილეში არის უცხო ქვეყნების რეზიდენტი საქართველოში! ანუ ძაღლის კუდი არ გასწორდების.

პრეზიდენტად წოდებული რეზიდენტი ბრალს დებს საქართველოს ხელისუფლებას, რომ ის არ შეუერთდა საერთაშორისო აქციებს და ქვეყანა არ დააქცია! პრეზიდენტად წოდებული რეზიდენტი ფარისეველია, უცხოა, ყიდის იმ ქვეყნის ინტერესებს, რომლის უსაფრთხოების გარანტი თავად უნდა იყოს! პრეზიდენტად წოდებული სალომე ზურაბიშვილი ყოველნაირი მიუღებელი ფორმით ცდილობს საქართველო ჩაამას ომში! ეს კი ნიშნავს საქართველოს საბოლოო განადგურებას“, – წერს **ედიშერ გვენეტაძე.**

მოამზადა
თამთა ქარჩავამ

ო...პოზიცია

სანთელ-საკმეველმა თავისი გზა არ დაკარგა!

პარლამენტის ფრაქცია „ქართული ოცნების“ დეპუტატთა უმრავლესობამ მომავალი, 2024 წლის ბატალურ საპარლამენტო არჩევნებში ზურგის გასამაგრებლად, – ოპოზიციური პარტიებისთვის, ტელეარხებისთვის, არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის, პრესისთვის, სიტყვის თავისუფლად გამოხატვისთვის და ხალხის ნების საწინააღმდეგოდ – ამ ეტაპზე ქვეყნისთვის საზიანო, მავნე რუსული კანონი პირველი მოსმენით მიიღო, მაგრამ მისი აღსრულება ჩაეფუშათ – პარლამენტის შენობასთან ყოველდღიურად გამართულმა მრავალათასიანმა საპროტესტო აქციებმა შედეგი გამოიღო – და იძულებული გახდა უკან დაეხია, – ვივა ოპოზიცია, ვივა – ხელისუფლება! სამართლიან პროტესტს სასურველი შედეგი მოაქვს, – „სამართალმა პური ჭამა“!

ოთარ შონია,
არქიტექტორი. მობ. 571 39 05 92

P. S. „ბევრის მდომმა, შეიძლება ცოტაც დაკარგოს“!

ო. შ.



ხვალ ჩვენი გაზეთის მეამბოხე სულის სტაჟიან ოპოზიციონერ ავტორს ოთარ შონიას 95 წელი უსრულდება.

კვლავაც ბევრჯერ მოგესვათ ბასრი კალამი, სამშობლოს უკეთეს მომავალზე მეოცნებე ბატონო ოთარ.

„საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია

„ყველა ნიჭზე ძლიერია, ქვეყნის დაცვის ნიჭი!“

სათაურად გამოტანილი სტრიქონები ვისაც ეკუთვნის, ყველა წიგნიერმა ქართველმა იცის; ისიც ყველა ქართველმა იცის, რომ „სანამ გმირმა ომში სული დალია, თქვა: სამშობლო უპირველეს ყოვლისა!“ საუკუნეთა განმავლობაში ქართველები შვილებს საკუთარი ვინაობისა და სადაურობის გაგებას უნერგავდნენ ცნობიერებაში, ყველას უნდა სცოდნოდა „ვისი გორისა“ იყო და ეამაყა ამით და არც იმაში შეეპარვოდა ეჭვი, რომ „სამშობლო, როგორც უფალი, ერთია ქვეყანაზედა!“ ამ გაგებით, მრწამსითა და რწმენით ვიარეთ სამიათასწლიანი სახელმწიფოებრიობის გზაზე და მოვიტანეთ დღემდე, „მამული, ენა, სარწმუნოება“, – როგორც ეს დიდმა ილიამ გენიალურად განგვიმარტა და ისიც გვითხრა, რაღა კაცები ვიქნებით, თუ ეს სამი ღვთაებრივი სიწმინდე ვერ დავიცავითო.

ვაჰმე! როგორ ვიფიქრებდი, რომ ზემოაღნიშნული ჭეშმარიტებანი სადავო გახდებოდა; სადავო კი არა, დაუნდობელი კამათის საგანი! მერე სად? სადმე ორღობეში კი არა, სადაც ლოთი კაცები უაზროდ კამათობენ და ჩხუბობენ ხოლმე, არა! საკანონმდებლო ორგანოში, პარლამენტში, სადაც ხალხის „რჩეულები“ სხედან (თუ უფრო ხშირად დგანან!). ვაი იმ ქვეყანასა და ხალხს, ვინც ასეთი „რჩეულები“ აირჩია! კიდევ უფრო ვაი და უი იმათ, ვინც ამათ პარლამენტში ყოფნასა და უზრუნველყოფას ურიგდება!

მკითხველი მიხვდა, ალბათ, რა კონკრეტული ფაქტი მაქვს მხედველობაში; მხედველობაში კი არა, რამ შემძრა და აღმაშფოთა უკიდურესად, მიხვდებოდით, მაგრამ ვიტყვი მაინც, პარლამენტში განსახილველად შეუტანიათ კანონპროექტი სამხედრო სამსახურის შესახებ და „იხილავდნენ“, მაგრამ რას იხილავდნენ თუ იცით? სამხედრო სამსახური საქართველოს მოქალაქეებისათვის სავალდებულო უნდა იყოს იყოს თუ არაო. გაიგეთ, კაცო, სამშობლოს დაცვა სავალდებულოა თითოეული ქართველისათვის თუ არაო! კაცს თუ არ უნდა და სახელმწიფო აიძულებს, გააკეთოს ის, რაც მას არ სურს, ეს არის მონობაო, – განაცხადა დეპუტატმა ანუ „ხალხის რჩეულმა“ პარტია „გირჩისა“ თუ „კურკის“ (თუ კურკლის?) ერთ-ერთმა ლიდერმა იაგო ხვიჩიამ, ნამდვილმა „ჭკუის კოლოფმა“. სამშობლოს დაცვის ვალდებულება მონობააო, კაცო! ერთ-ერთმა ლიდერმა-მეთქი, იმიტომ ვთქვი, რომ პარლამენტში ორი პარტია „გირჩი“ (თუ „კურკა“), ისინი არაფრით განსხვავდებიან ერთმანეთისგან გარდა იმისა, რომ ერთი პარტია შარვალჩახდილი ატარებს აქციებს სასაზღვრო ზოლთან, მეორეს კი შარვალი ჯერ არ ჩაუხდია. ჰოდა, ამ ჯერჯერობით შარვალჩაუხდელების „უფროს 2“ იაგო გირჩმა მრძანა, სამშობლოს დაცვის იძულება მონობაააო.

ახლა შენ გეკითხები იაგო დეპუტატო და შენს თანამოაზრეებს; საქართველოს, ჩვენს სამშობლოს მტერი რომ მოადგეს, ქვეყნის დასაცავად ჩემი და ჩემნაირების შვილები და შვილიშვილები უნდა წავიდნენ და შენი და შენნაირების შვილები და შვილიშვილები შინ უნდა ნებივრობდნენ? მანამდე არ აგიდგათ გვერდები, თქვე ქვეშაფსიებო! პირობას ვაძლევ ყველა პატრიოტ ქართველს, რომ ომის ვითარებაში ჩემი ოჯახიდან წასულ მეომრებს დავალებას მივცემ, მრძოლაში ჩაბმამდე ჯერ თქვეთან შემოიარონ, რათა ნეოლიბერასტების (ანუ ნეოტროცკისტების) თესლი ამოიძირკვოს, რომ ქართველთა რაინდული სული კავკასიაში საცინად ასაგდები და სამარცხვინო არ გახდეს.

არა, ამათ სამშობლო არ აქვთ, თორემ ნეოლიბერალიზმის წუმპეში ჩაძირული ჩვენი განათლების სისტემის მავნებლობის მიუხედავად, სამშობლოს სიყვარულისგან ასე დაცლილი სუბიექტები როგორ გაიზრდებოდნენ ჩვენში! იცით, ასპინძის ბრძოლის წინ როგორ მიმართა ქართველებს მეფე ერეკლემ? აი, ასე:

„მამულიშვილნო, ამ ჩვენს ტანჯულ მიწას,
მტერი გვეცილება დაუძინებელი,
აუცილებელია დაცვა მამულისა,
სიცოცხლე არ არის აუცილებელი!“

დიდი მეფის, ერეკლეს ნათქვამი ლექსად გარდაქმნა ასევე უზადო პატრიოტმა მუხრან მაჭავარიანმა.

ეს შეჩვენებულები (კოლექტიური „გირჩები“ და ძმანი მათნი!) თუ მართლა ქართველები არიან, მაშინ „დადედლებულან შიშისგან, აღარ ვარგიან მამლადა!“ (ვაჟასებურად). ასეა თუ ისე, ამნაირი ხალხი პარლამენტში, უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში არ უნდა ისხდნენ, არ შეიძლება, ეს უჯიშო არსებები კანონ-წესებს უდგენდნენ იმ ქართველებს, რომლებიც ღირსეული წინაპრების ღირსეული შთამომავლები არიან, რაც ამ სამი ათეული წლის განმავლობაში არაერთხელ დაადასტურეს თავიანთი სისხლითა და სიცოცხლით!

ესენი კი ვინ არიან, თუ არა გაცხადებული მოღალატეები და ვითომ შეფარული მტრები? ყველაფერი კარგა ხანია, სრულიად აშკარაა. ამას წინათ უცხოეთიდან წამოსული დაფინანსების გასაჯაროების კანონპროექტის განხილვისა არ იყოს, რასაც დიდი დაკა-დაკა მოჰყვა და დაკა-დაკაზე მეტიც, ქუჩაში გამოცვენილმა მოტყუებულმა, 30 გროშად გაყიდულმა „ევროპიელებმა“ (ვის უკანაც ჭკვიანი მოროტ-მოქმედები იდგნენ!) ცეცხლში დასაწვავად გაიმეტეს პოლიციელები, რომლებიც უფროსების მრძანებით ხელსაც ვერ ანძრევდნენ ქვეყნის და თავის დასაცავად.

რამ გადარიათ იმ კანონის განხილვისას აქაური უცხოეთიდან დაფინანსებული „ქურდები“ (ენჯეოები) და იქაური მათი დამფინანსებელი ბოსები (თუ ბოზები!)? რამ და, როგორც ბებიაჩემი ოლღა არევაძე იტყოდა ხოლმე, „ქურდს რა უნდა და ბნელი ღამეო“. ამ განსახილველ კანონს კი სინათლე შეჰქონდა დაფინანსების წარმომავლობასა და მიზნებში. იმ დღეს ხელისუფლების „კეთილი ნების“ გამოისობით, ქურდებმა „ბნელი ღამე“ შეინარჩუნეს“, რამაც ხელისუფლებისადმი ნდობა და იმედი ნამეტნავად შეარყია.

ახლა ამ ქაოსიდან (რბილი ნათქვამია!) გამოსავალი ერთია: ამ პარლამენტიდან უნდა გააძევონ ყველა მოღალატე, შეგნებული თუ შეუგნებელი მტერი, უცხო ქვეყნის აგენტი, შეურაცხადი და სულელი. პარლამენტის დათხოვნა თუ არის აუცილებელი, ესეც უნდა გააკეთოთ. სხვა გზა უბრალოდ არ არის! სხვა გამოსავალი არის, მაგრამ სასურველი არ არის: ეს არის ნამდვილი ქართველთა ბუნტი, რაც სასტიკი და დაუნდობელი იქნება ყველა „გირჩის“, ყველა ჭიჭეს, ყველა ხაბეს, კუპონას და იმ მაწაკი ე. წ. „მდედრიონის“ მიმართ, რომელთა მოქმედება დიდი ხანია, გასცდა ზნეობისა და ადამიანობის საზღვრებს!

ხელისუფლებავ! ეს მარტო ჩემი ხმა არ არის, რომელიც გირჩევთ, შეისმინოთ, იმოქმედოთ, პრინციპულად მოიქცეთ!

ზურაბ ცუცქირიძე,
ტელ. 555567527

P.S. **24 მარტს პარლამენტში პრემიერ-მინისტრის გამოსვლასა და ამასთან დაკავშირებით გამართულ ე.წ. „დებატებს“ ვუცქირე. რა მართალი მითქვამს ამას წინათ 105 წლის მართალ, ეროვნულ გაზეთს „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებულ წერილში „იდიოტიზმი“, რაზეც ცოტა გული მეთანაღრებოდა. ამ საპარლამენტო „სხდომის“ შემდეგ კიდევ უფრო განმიმტკიცდა აზრი იმის შესახებ, რომ საქართველოს ე.წ. პარლამენტი დათხოვნილი უნდა იქნეს!**

ზ. ც.
24.02.2022 წელი.

9 აპრილის სიწმინდე ნაცებს არ ნავაბილწვინოთ!

ლევან ხაგეიშვილმა, სააკაშვილის მსგავსად, წმინდა თარიღებთან შეთამამება დაიწყო და 9 აპრილს საპროტესტო აქცია დააანონსა. მის ამ გადაწყვეტილებას უკვე მოჰყვა პროტესტი საკუთარ მომხრეებშიც. მოძრაობა „სირცხვილიას“ ერთ-ერთი ლიდერი შოთა დიღმელაშვილი არ უწონებს ლევან ხაგეიშვილს 9 აპრილით პარაზიტირებას და მორალურ მხარეზე ამახვილებს ყურადღებას. დიღმელაშვილი ამბობს, რომ 9 აპრილს აქციის დანიშვნა უდიდესი უპასუხისმგებლობაა.

სხვათა შორის, 2013 წელს ხელისუფლების დაკარგვის შემდეგ „ნაციონალებმა“ პირველი საპროტესტო აქცია სწორედ აპრილში დაგეგმეს, რათა თავიანთი მომხრეების რაოდენობა დაეთვალათ, რომელთა რიცხვიც კატასტროფულად მცირდებოდა, მაგრამ მაშინაც ვერ გაბედეს 9 აპრილის თარიღის ხელყოფა და მისი ანალოგიით 19 აპრილს დაამთხვიეს პროტესტი, რათა სიმბოლურ თარიღს მთლად არ მოსწყვეტოდნენ. იმ პერიოდშიც ექსპერტები ეჭვობდნენ, რომ 19 აპრილი „ნაცებს“ შემთხვევით არ ჰქონდათ შერჩეული და შემოვლით ცდილობდნენ 9 აპრილთან მიახლოებას.

დღეს ლევან ხაგეიშვილი უკვე 9 აპრილით აპელირებს, რაც უფლებადამცველ **ნანა კაკაბაძეს** არ უკვირს. „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ თავმჯდომარე ჩვენთან საუბრისას აცხადებს, რომ 9 აპრილი „ნაციონალებმა“ შეარჩიეს იმიტომ, რომ ეს მათი ჩვეული სტილია. ყველაფერი, რაც ქართული, ეროვნული და ღირებულია ქართველი ხალხისთვის, მის გადაგვარებას და დამახინჯებას ცდილობენ. სამწუხაროდ, ზოგიერთ შემთხვევაში, აღწევენ კიდეც მიზანს.

მანვე განმარტა, რომ 9 აპრილის თარიღს ვინმე თანამდებობისთვის და ხელისუფლებაში მოსასვლელად კი არ იყენებდა, ეროვნული გრძნობის მქონე ადამიანები კი არ ვაჭრობდნენ ამ თარიღით, მომეცით თანამდებობა და პორტფელებიო, არამედ ეს დღე ჩვენი დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისთვის ბრძოლის სიმბოლო იყო. ამაში სრულიად საქართველო შეთანხმებულია, რომ ეს იყო ჩვენი ერის დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისთვის ბრძოლის დღე.

ამდენად, ნანა კაკაბაძე მიიჩნევს, რომ მერაბიშვილის ინსტრუქციების შესრულება ამ წმინდა თარიღის შეურაცხყოფაა.

პოლიტოლოგი **თამარ კიკნაძე** ამბობს, რომ ოპოზიციის დიდი ნაწილი განუდგა 9 აპრილის აქციას. ამდენად, ნაკლებად მოსალოდნელია, 9 აპრილს რეზონანსული და მნიშვნელოვანი აქცია ჩატარდეს.

„9 აპრილი დაკავშირებულია სისხლისღვრასთან, სახელმწიფოებრიობასთან, არა მგონია, კარგი გადაწყვეტილება იყოს „ნაციონალების“ მხრიდან ამ თარიღის გამოყენება. არ ვიცი, რატომ ცდილობენ მაინცდამაინც ასეთი თარიღებით აპელირებას, მაგრამ ეს არცთუ ისე წარმატებული მცდელობა იქნება. ახლანდელ ბოლო აქციაზე ამდენი ხალხის გამოყვანა იმიტომ კი არ შეძლეს, რომ „ნაციონალებს“ უჭერდა ხალხი მხარს, არამედ პროდასავლური, პროევროპული არჩევანის გამო გამოვიდა ხალხი“, – აცხადებს თამარ კიკნაძე.

მანანა ნოზაძე

ბაბუა და შვილიშვილი

ულამაზეს აფხაზეთში დაბადებულ, შესანატრი გენეოლოგიის მქონე, უაღრესად პატიოსან და პროფესიონალ ადამიანზე ნოდარ ემუხვარზე უნდა მოგითხროთ.

სიმბოლურია, რომ მან ცხოვრება გულს დაუკავშირა, რადგან თავად არის ეს პიროვნება მზისგულა კაცი.

მის თავმდაბლობაზე ისიც მეტყველებს, რომ მიუხედავად არაერთგზის თხოვნისა, ჩვენს გაზეთში თავის ღვაწლზე დაგვეწერა რამე, ყოველთვის უარით გვისტუმრებდა. და ჩვენც მხოლოდ ერთაბზაციან მილოცვას ვყაბულდებოდით.

დღეს კი ვთვლით, რომ ბატონ ნოდარს 80 წლის იუბილეზე ნამდვილად ეკუთვნის ჩვენგან და მთელი საქართველოსგან გულწრფელი და გულითადი სამადლობელი სიტყვა.

Healthycore

სახალხო ექიმი ნოდარ ემუხვარი, „ჰელსიკორი“ და კლინიკის ჯადოქრები...

დიდი გზის დასაწყისი

დაიბადა გალის რაიონის სოფელ შეშელეთში 1943 წლის 4 აპრილს, არის სამურზაყანოს თავადების – ემუხვარების და ჩიქოვანების საამაყო შთამომავალი. სწორედ უსაყვარლესი ბებიის ნადე ჩიქოვანის ოცნება გახლდათ, რომ მისი ნოდარიკო ექიმი გამხდარიყო. სწორედ ამ მიზნით ჩამოიყვანა ბებიამ 1960 წელს თბილისში პროფესორ კონსტანტინე ჩიქოვანთან (მათი ნათესავი გახლდათ) და უთხრა, რომ მინდა ნოდარიც შენსავით წარმატებული ექიმი გახდეს და თუ შეძლებ, გზის გაკვალვაში დაეხმარეო.

სამწუხაროდ, ბატონი კონსტანტინე, რომელიც ნეიროქირურგიის ფუძემდებლად ითვლება საქართველოში, გულით სრულიად ახალგაზრდა, 52 წლის ასაკში გარდაიცვალა, ისე რომ ნოდარის სტუდენტობასაც კი ვერ მოესწრო. თუმცა ახალგაზრდა ბიჭს **ბიძის დარიგება, მხოლოდ თავდაუზოგავი სწავლით და შრომით შეძლებ მედიცინაში კვალის დატოვებასო, დღემდე ახსოვს.**

შვილიშვილის წარმატებას ვერც ნადე ბებია მოესწრო, თუმცა მისი ოცნება, ნოდარი სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი გამხდარიყო, სიცოცხლეშივე აუხდინა ჩიქოვანის დიდებულ ქალბატონს!.. სწორედ ბებიის და ბიძის გულის უკმარისობით გარდაცვალებამ გადააწყვეტინა ნოდარ ემუხვარს, გულის მკურნალი გამხდარიყო...

...სასიცოცხლო მნიშვნელობით გული მეორე ორგანოა, რომელიც ფუნქციებით მხოლოდ ორგანიზმის მთავარ მაკონტროლებელს – თავის ტვინს ჩამოუვარდება. გულსისხლძარღვთა დაავადებებმა დღემდე გაცილებით მეტი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, ვიდრე კაცობრიობის ისტორიაში მომხდარმა ომებმა ერთად, და ბატონმა ნოდარმაც სწორედ ამ ვერაგ დაავადებასთან გადაწყვიტა ბრძოლა და მისი გვარი უკვე **ოქროს ასოებით ჩაიწერა ქართული მედიცინის ისტორიაში.**

უბრალოდ მხოლოდ სახელი რომ ვთქვათ – ნოდარ ემუხვარი – უკვე ყველასთვის ნათელი იქნება, რომ საუბარი გვაქვს უიშვიათეს პიროვნებასა და პროფესიონალზე.

* * *

თსსი-ს სამკურნალო ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ (1967 წ.) ნოდარ ემუხვარი ყოველდღიურად დებდა თითო აგურს ქართული მედიცინის განვითარებისა და წინსვლის საქმეში.

1974 წ. ასპირანტურის დამთავრების შემდეგ დაინიშნა თსსი-ს სამკურნალო ფაკულტეტის თერაპიის კათედრაზე ასისტენტად. 1975 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. 1995 წელს მიენიჭა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. ამავე წელს დაინიშნა თსსი-ს №1 კლინიკის დირექტორად.

1994 წელს იყო თსსი-ს სამკურნალო ფაკულტეტის დეკანი. ერთი წლის შემდეგ გადაიყვანეს თსსი-ს პრორექტორად სამკურნალო დარგში, სადაც მუშაობდა 2003 წლამდე. პარალელურად იყო შინაგან სნეულებათა კათედრის გამგე 2014 წლამდე.

1976-79 წ.წ. ჩრდილოეთ ავღანეთში მუშაობდა მთავარ ექიმად. 120 სამეცნიერო ნაშრომის ავტორია, მისი რედაქტორობით გამოცემულია შინაგან სნეულებათა სახელმძღვანელოს 2 ტომი. ნოდარ ემუხვარი არის საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. ევროპის კარდიოლოგთა ასოციაციის, საქართველოს ინტერნისტთა საზოგადოების წევრი. 2000 წელს ღირსების ორდენით დააჯილდოვეს, ასევე გადაეცა მედალი „ჯანმრთელობის დაცვის ფრიადოსანი“.

ახალციხიდან - „ ჰელსიკორამდე“

1967 წელს, სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრებისთანავე პირველი სამსახური ახალციხეში დაიწყო. იქ მუშაობამ უდიდესი გამოცდილება მისცა ახალგაზრდა ექიმს. იმ დღიდან მოყოლებული ნოდარ ემუხვარმა შექმნა საკუთარი თავი და სამედიცონო დარგში ყველა მწვერვალს მიაღწია.

ახალციხეში ბატონი ნოდარი იყო სასწრაფოს ექიმიც, ამბულატორიის გამგეც, ვალეს საავადმყოფოშიც იმუშავა, სამ წელიწადში მოიარა მთელი სამცხის სამედიცინო დაწესებულება. ძალიან კარგად ახსენდება ადგილობრივი ადამიანების სითბო და სიყვარული.

ამ სამმა წელიწადმა უდიდესი პრაქტიკული გამოცდილება შესძინა მას. ამ პერიოდშივე ამთავრებს ასპიტრანტურას და უკვე სამედიცინო ინსტიტუტის კათედრაზე ასისტენდად იწყებს მუშაობას...

მალევე ხდება პედაგოგი, თაობათა აღმრზდელი, სამედიცინო ინსტიტუტის ლექტორი...

ასპირანტურის მეორე კურსზე სწავლისას სამედიცინო ინსტიტუტის რექტორმა პეტრე გელბახიანმა ნოდარს შესთავაზა კომკავშირის კომიტეტის მდივნობა და აღმოჩნდა, რომ ემუხვარი არც კომკავშირელი ყოფილა როდესმე და არც პარტიული!

იმთავითვე გამოჩნდა, რომ სახელოვანი გვარის მქონე კეთილშობილ თავადს პარტია და კომკავშირი სულაც არ ეპიტნავებოდა...

...72 წლის ასაკში, ლექციის წაკითხვისას შეამჩნია, რომ რაღაც სიტყვის ძებნა დაიწყო, მაშინვე დაწერა განცხადება ლექტორობიდან წამოსვლის თაობაზე, ერთი თვე ედო რექტორს მისი განცხადება ხელმოუწერელი, იქნებ გადავაფიქრებინოთო, მაგრამ კეთილსინდისიერმა პროფესორმა ყოველთის იცის, როდის უნდა შეჩერდეს.

ვიდრე კათედრის გამგე გახდებოდა, მანამდე გახსნა კარდიოლოგიური განყოფილება, ინფარქტის ცენტრი. ცოტა ადრე მხოლოდ ნოდარ ყიფშიძეს, ნუგზარ ტატიშვილს, გაიოზ ცინცაძეს და ბონდო ქობულიას ჰქონდათ მსგავსი ცენტრები და მეხუთე „ცენტრისტი“ სწორედ ბატონი ნოდარი გახდა.

პირველი პიროვნება გახლდათ, რომელიც თან თანამშრომელი იყო სამედიცინო ინსტიტუტის და თან განყოფილების გამგეც. პროფესორმა არჩილ ასათიანმა მოგვიანებით თქვა, რომ ეს იყო უიშვიათესი შემთხვევა, რომ კათედრის თანამშრომელი არის ერთდროულად განყოფილების გამგეც და ეს პრაქტიკა აუცილებლად უნდა დაინერგოსო.

სხვა თვალით დანახული ავღანეთი

...ამ პერიოდში გზას აშენებდნენ თურმე რუსები, მაზარი-შარიფი დიდი ქალაქია ავღანეთში. სწორედ აქ მსახურობდა ბატონი ნოდარი ავღანეთის მისიის მთავარ ექიმად, ამავე დროს ხელმძღვანელობდა საბჭოთა ობიექტების სამედიცინო შტაბს. ბატონი ნოდარი იქ მეუღლესთან გულნაზ ბასარიასთან ერთად ასრულებდა სამსახურებრივ მოვალეობას. რუსეთი აშენებდა გზას პაკისტანიდან ირანამდე, ავღანელებსაც უნდოდათ ინდოეთის ოკეანეზე გასასვლელი ჰქონოდათ.

არანაირი ცეცხლის ხაზი მათ არ შეხებიათ. ოჯახთან ერთად საკმაოდ კარგ პირობებში უწევდათ ცხოვრება და იქ მოღვაწეობამ უდიდესი გამოცდილება შესძინა, როგორც კარიერული, ისე პიროვნული თვალსაზრისით.

სხვათა შორის, ათასობით გურჯი ცხოვრობს თურმე ავღანეთში. ბედის ირონიით, გასპარსებული საქართველოს მეფე გიორგი XI დასაფლავებულია კანდაგარში. ქართველების ტომი 1704 წლის სპარსეთ-ავღანეთის ომის მდროს, ირანის მხარეს მეომართა შთამომავლებად ითვლებიან... სწორედ ისინი არ აძლევდნენ თურმე გზის გაყვანის უფლებას ავღანეთის ხელისუფლებას და რუსეთის მხარეს! ანდროპოვს დაუბარებია საბჭოთა მისიის მთავარსარდალი, გენერალი სმირნოვი და უბრძანებია, – „გადაუარეთ ბომბდამშენით, მაგ ურჩებსო“!..

მეორე დღეს სმირნოვმა მორიდებით უთხრა ანდროპოვს, რომ ამას მსოფლიო არ გვაპატიებსო, და უხსენებია პოლკოვნიკი ეპიტაშვილი, რომელიც გაგზავნეს ურჩ გურჯებთან მოსალაპარაკებლად!

საბედნიეროდ, ეს მოლაპარაკებები მშვიდობიანად დასრულებულა. იქაურ ქართველებს პატივისცემის ნიშნად გიორგი XI-ის საფლავზეც კი წაუყვანიათ გენერალი ეპიტაშვილი სანთლების დასანთებად!..

კიდევ ბევრი ამბავი გაიხსენა ავღანეთის დღეებიდან ბატონმა ნოდარმა, მაგრამ ახლა ისევ მედიცინას დავუბრუნდეთ.

* * *

2014 წელს უმნიშვნელოვანესი მოვლენა მოხდა ნოდარ ემუხვარის ცხოვრებაში, გაიხსნა ისრაელ-საქართველოს ერთობლივი კლინიკა „ჰელსიკორი“.

თავდაპირველად ბატონ ნოდარის შვილმა, თამარმა გახსნა ალადაშვილის კლინიკის ბაზაზე ე.წ. კორონოროგრაფიის განყოფილება. შემდეგ შეიძინეს ფართობი თევდორე მღვდლის ქუჩაზე, რომელიც ცარიელი კარკასი-ჩონჩხი გახლდათ. ახლა უკვე 5 სართულზე არიან განთავსებულნი. თავიდან მხოლოდ ორი, მე-8 და მე- 9 სართულის გარემონტება შეძლეს. თან აშენებდნენ, თან ექიმები მშენებლობას სწავლობდნენ. იყო შემთხვევები, რომ ისე უხარისხოდ დაუგეს იატაკის საფარი, ზედ აპარატურა არც კი დაიდგმეოდა.

მეცხრე წელი დაიწყო უკვე და დღემუდამ კლინიკის განვითარებაზე ზრუნავენ. თავდაპირველად, „ჰ ელსიკორი“ ფუნქციონირებდა როგორც სპეციალიზებული კარდიოლოგიური კლინიკა, თუმცა, დროთა განმავლობაში, კლინიკა განვითარდა და ჩამოყალიბდა მრავალპროფილურ სამედიცინო ცენტრად, რომელიც

აღჭურვილია უახლესი სამედიცინო აპარატურითა და თანამედროვე საოპერაციოებით. დღეს იქ 500 ადამიანი მუშაობს.

„ჰელსიკორი“ დაკომპლექტებულია პროფესიონალი და მაღალკვალიფიციური ექიმებით, რომლებიც სასწაულებს ახდენენ.

რამდენიმე წლის წინ სწორედ აქ ჩატარდა პირველად არა მარტო საქართველოში, არამედ მთელს ამიერკავკასიაში აორტის სარქვლის ტრანსკათეტერული იმპლანტაცია „TAVI“, „ჰელსიკორის“ ინტერვენციული კარდიოლოგიის დეპარტამენტის ხემძღვანელის, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, კარდიოლოგ ირაკლი გოგორიშვილის მიერ.

კლინიკა მუდამ ცდილობს კვალიფიკაციის ასამაღლებლად საზღვრებს გარეთ გაუშვას ექიმები, აგრეთვე სანთლით ეძებს უცხოეთში მოღვაწე წარმატებულ ქართველ ექიმებს და სამშობლოში აბრუნებს.

„ჰელსიკორი“ დღეს სამედიცინო სფეროში ამკვიდრებს მაღალ სტანდარტებს და იქ მოხვედრილ უმძიმეს პაციენტებსაც კი სჯერათ, რომ კლინიკაში ნამდვილი ჯადოქრები მუშაობენ.

ყოველივე ამაში კი ლომის წილი თავად გატონ ნოდარს ეკუთვნის. ბევრი ქართველი კლინიკას დღეს ემუხვარის კლინიკადაც კი მოიხსენიებს.

დღეს ამ კლინიკის გენერალური დირექტორი გატონი ნოდარის შვილიშვილი არჩილ ხანთაძე გახლავთ. სხვათა შორის, გატონი ნოდარის ქალიშვილები თამარი და ნინოც, მამის გზას დაადგნენ და ფრიად წარმატებული ექიმები არიან. ასე რომ, ემუხვარების სამედიცინო დინასტია ერთად ქმნის ქართული თანამედროვე მედიცინის ისტორიას.

„უდაბნოში“ გაკეთებული ოპერაციები

გია ყანჩელი, როგიკო სტურუა, „ჰელსიკორში“

როცა ისრაელიდან პირველად პროფესორი, სისხლძარღვთა ქირურგი რონი კარმელი ჩამოიყვანეს 15 წლის წინ, თავის კოლეგებს ისრაელში ხუმრობით ეუბნებოდა „უდაბნოში ვაკეთებ ოპერაციებსო“, ისეთი მოძველებული ტექნიკა იყო ქვეყანაში იმ დროს...

სხვათა შორის, პირველი ოპერაცია რონი კარმელმა გატონი ნოდარის ოჯახის წევრს გაუკეთა.

პირველი კორონოროგრაფია გაკეთდა ჩაფიძის კლინიკაში. ედუარდ შევარდნაძემ გამოიყენა გულიკო ჩაფიძე ერის სასიკეთოდ. ამ მეთოდს მაშინ ძალიან ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავდა – როგორ შეიძლება კორონოროგრაფია გაკეთდეს, იქ სადაც ქირურგი არ არისო.

გულიკო ჩაფიძემ მოინდომა და ბოლომდე მიიყვანა ეს საქმე, სხვათა შორის, გატონი ნოდარი იმ მცირე ექიმთა შორის გახლდათ, ვინც ამ ნოვაციას მხარს უჭერდა. ისინი მესამენი იყვნენ, ვინც ეს ცენტრი გახსნა, დღეს უკვე 50-ზე მეტი კორონოროგრაფიის ცენტრი მუშაობს.

შეიცვალა არითმიების მკურნალობა, აბლაციები კეთდება მოწვა-მოყინვით. „ჰელსიკორში“ ამ ოპერაციებს ატარებს შესანიშნავი ექიმი გიორგი პაპიაშვილი.

...TAVI-ს მეთოდი ეს არის ხელოვნური სარქველი – ხბოს პერიკარდი. გახსნი ამ სარქველს და გული იწყებს მუშაობას. სხვათა შორის, ჩვენს სახელოვან რეუისორს რობიკო სტურუას გაუკეთდა ეს ოპერაცია „ჰელსიკორში“ (კლინიკაში გადაღებული რობიკოს და გია ყანჩელის ფოტო, სოციალურ მედიაში წლის ფოტოდაც კი დასახელდა). ამ მეთოდით ჩატარებული 30-ე ოპერაცია წარმატებით დასრულდა.

– სამწუხაროდ, ძალიან ძვირია დღეს აპარატურა და სამედიცინო მომსახურება, გულის სარქვლის შეცვლა 70000 ლარამდე ღირს, რადგან თავად სარქველია ძვირი... ვთვლი, რომ არ შეიძლება მედიცინა იყოს ასეთი ძვირადღირებული.

წარმოუდგენელი ფინანსების მოძიება გვიწევს თითოეული თანამედროვე სამედიცინო აპარატურის შესაძენად. სიცოცხლე ყველას უნდა და არ უნდა იყოს მედიცინა ფუფუნება!..

ექიმი, პირველ რიგში, პიროვნება უნდა იყოს. პროფესიონალიზმი და შინაგანი პატიოსნება არის ყველაზე მთავარი ჩვენს პროფესიაში, ამბობს გატონი ნოდარი.

ემუხვარების და ჩიქოვანების შთამომავალი...

გატონი ნოდარის ბებია და ბიძა, ჩიქოვანები სტატიის დასაწყისში გაგაცანით, აქ იმას დავამატებთ, რომ მართა, იგივე ნადე ბებო იყო ოდიშის მთავრის შთამომავალი. ბებოს ყველა პატენს ეძახდა (პატენი მეგრულად ქალბატონს ნიშნავს), საოცრად განათლებული და კეთილშობილი ქალბატონი გახლდათ. შვილებთან ერთად, დედობას უწევდა კიდევ ორ რუს ბიჭს...

რაც შეეხება ემუხვარებს, კონსტანტინე გამსახურდიას და ლეო ქიაჩელის ნაწარმოებებიც კმარა იმის გასაგებად, თუ რამდენად სახელოვან გვართან გვაქვს საქმე:

კონსტანტინე გამსახურდიას არზაყან ემუხვარის შვილისადმი მიწერილი ეს წერილი უფრო კარგად გადმოსცემს სათქმელს:

– ჩემო პატარა ემუხვარო! ჩემს ნაწარმოებში „მთვარის მოტაცებაში“ შენი მამის პროტოტიპად მთავარი გმირი, რომელშიდაც მე ჩემი სიყრმის მეგობარი კეთილი აფხაზი არძაყან, იგივე დიმიტრი ემხვარი გამოვხატე, რომელთანაც გავატარე პარიზში ჩემი ცხოვრების ყველაზე ტკბილი დღენი, ენგურის დიდ ზვირთებთან ბრძოლაში დავამარცხე, ვინაიდან მისი მიზნების განხორციელება არ ძალმიძდა. გიჟი ენგურის ზვირთებთან შეკაუება ეს მისი იდეების შებრძოლება იყო მის იდეალისა და არსებული მიმდინარეობისა. მომიტევეთ.“

არზაყან ემუხვარი კონსანტინე გამსახურდიას „მთვარის მოტაცების“ ერთ-ერთი გმირის თარაშ ემხვარის პროტოტიპია. არზაყან ემუხვარი გახლდათ აფხაზეთის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე, მის ქართველობას ეს ფრაზაც ნათლად გამოხატავს – **„გავერთიანდეთ არა ჩრდილოეთ კავკასიასთან, არამედ საქართველოსთან“.**

სწორედ ასეთი ხალხის შთამომავლები არიან ემუხვარები, რომლებიც, სამწუხაროდ, სულ 180 ადამიანიღა შემორჩნენ, დღევანდელ წუთისოფელს...

– ბაბუაჩემს და მის ძმას გაგრაში ჰქონდათ 9 ჰექტარი მიწა. ხუმრობით მეუბნებოდნენ, ამ გაგრელ თავადებს შეშელეთში რა გინდოდათო?

არადა, შეშელეთიც ემუხვარების სოფელი ყოფილა, მოგვიანებით, როგორც აკადემიკოს ილია ვეკუას სოფელი ისე გაიცნეს მშვენიერი შეშელეთი, გვითხრა გატონმა ნოდარმა.

მდინარესაც კი ერქვა ემუხვარი გაგრაში.

ჩემს წინაპრებს კი სდევნიდნენ, მაგრამ მე ხშირად ნიშანსაც კი მიმატებდნენ თავადური გვარის გამოო, იხუმრა გატონმა ნოდარმა.

აფხაზეთი გატონი ნოდარის მოუშუშებელი ტკივილია, სამწუხაროდ, გვაჯობეს რუსებმა ჭკუით და ბევრ რამეში ჩვენ ვართ დამნაშავე, ეს წალკოტი რომ დავკარგეთო!..

ცხოვრების მთავარი მეგობრები

სახელოვანი საამაყო წინაპრების, ოჯახის, მეუღლის, შვილების, შვილიშვილების გარდა გატონი ნოდარის ცხოვრებაში იყვნენ და არიან ადამიანები, რომელთაც განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს მისი, როგორც პიროვნების და პროფესიონალ ექიმად ჩამოყალიბებაში.

– ჩემი მასწავლებლები იყვნენ ვახტანგ ალადაშვილი და დავით ტვილდიანი. ალექსანდრე ალადაშვილი (უფროსი) იყო ამ კლინიკის დამაარსებელი. ვ. ალადაშვილთან ერთად ჩემი ხელმძღვანელი იყო დავით ტვილდიანი, რომელიც ცნობილი კარდიოლოგი, აკადემიკოსი და უგანათლებულესი პიროვნება გახლდათ. მიუხედავად იმისა, რომ ვახტანგ ალადაშვილმა მიმიღო ასპირანტურაში, თავადვე „მიმაბარა“ დავით ტვილდიანს, რადგან მან ჩათვალა რომ დავითისგან უფრო დიდ ცოდნასა და გამოცდილებას მივიღებდი. ასეთი პიროვნებები დღეს ნამდვილი იშვიათობაა.

დავითი იყო უწესიერესი პიროვნება. რთული იყო მასთან ურთიერთობა, მაგრამ თუ შეგიყვარებდა და მიგიღებდა, მამასავით გადაგყვებოდა.

ჩემს კარიერას რაც შეეხება, დავრჩებოდი ერთი კარგი ექიმი, რომ არა რამაზ ხეცურიანი. ყველა ჩემი ინიციატივის, თაოსნობის ავტორი ის გახლავთ. ექიმობით დაიწყო ჩვენი მეგობრობა და დღეს ოჯახებით გრძელდება.

გატონმა რამაზმა ალადაშვილში დამნიშნა დირექტორად. ამის შემდეგ სამკურნალო ფაკულტეტის დეკანად გადამიყვანა, ერთი წლის თავზე პრორექტორად დამნიშნა სამკურნალო დარგში და ბოლომდე ერთად ვიყავით ჩაბმული ამ ფერხულში.

მთავარი მადლობა კი ოჯახს ეკუთვნის, მეუღლეს, ქალბატონ გულნაზ ბასარიას, რომელიც ექიმი-რენტგენოლოგია. მეუღლე გახლდათ ყველა მისი წარმატების თუ მარცხის თანაზიარი, სამივე შვილი, ცხოვრების მთავარი ღერძი და მამოძრავებელი ძალა.

თამარ ემუხვარი კლინიკა „ჰელსიკორის“ ნამდვილი ხერხემალია, დაარსების დღიდან დღემდე, ის ასევე გახლავთ „Parexel“ კვლევების ხელმძღვანელი. თამარი უკვე ბებიაა, კარგი რძლებით და უსაყვარლესი შვილიშვილებით.

ნაბოლარა ნინოც მშობლების კვალს გაჰყვა, წარმატებული ექიმია და დღეს ისიც „Parexel“-ში მუშაობს.

განსაკუთრებული მადლობა სიძეს, ნიკოლოზ გეგუჩაძეს, რომელიც „ხალიკ ბანკის“ გენერალური დირექტორია. მიუხედავად ასეთი დაკავებულობისა, ნიკა წუთით არ მოშორებია ნინოს, როდესაც მას ჯანმრთელობის პრობლემები შეექმნა და საზღვარგარეთ მოუწია მკურნალობა.

6 შვილიშვილი, მათ შორის ერთი გატონ ნოდარის მოსახელეა. უმცროსი ნოდარ ემუხვარი ჯანდაცვის მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტია. ჰყავთ 2 შვილთაშვილიც – შვილისგან შვილიშვილზე უკეთესი არაფერი დაგრჩებაო – სიყვარულით ამბობს გატონი ნოდარი...

* * *

ვუსმენდი ნოდარ ემუხვარს და არ მინდოდა საუბარი დასრულებულიყო. თუმცა ისედაც ბევრი დრო დაგვითმო, რადგან განუწყვეტლივ იღებოდა კარი, ხან ექიმები შემოდიოდნენ, ხან პაციენტები. ვუყურებდი ამ დიდებულ პიროვნებას, ჭეშმარიტად სახალხო ექიმს, რომელიც 80 წლის ასაკში ისეთი აქტიურია, ისე უნაკლოდ აზროვნებს და ისეთი ნოვატორია, ბევრი ახალგაზრდა ვერ დაიკვეხნის!..

მართლაც ბედნიერია მისი შთამომავლობა, რომ ასეთი პიროვნების გვერდით იზრდებიან.

ბედნიერი ვართ ჩვენც, რომ გვყავს სიკეთითა და სიყვარულით სავსე მკურნალი ნოდარ ემუხვარი. დღეგრძელობას გისურვებთ ქართული მედიცინის ბერმუხავ, კიდევ დიდხანს გიერთგულოთ თქვენმა მზიანმა გულმა...

რუსუდან ქობულია

ექიმი, პედაგოგი, მეგობარი

ღვაწლმოსილ მოქალაქეს, ექიმს, პედაგოგს, შესანიშნავ მეგობარს, ღირსების ორდენის კავალერს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს ნოდარ ემუხვარს შეუსრულდა 80 წელი.

დიდი და სახელოვანი გზა განვლო იუბილარმა, რომელიც დაიბადა 1943 წელს გალის რაიონის სოფ. შეშელეთში. გადილის №1 სკოლის დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა თსსი-ის სამკურნალო ფაკულტეტზე, რომლის დამთავრების შემდეგ 1987 წლიდან მუშაობდა ახალციხის რაიონში ამბულატორიის ექიმად.

1970 წლიდან თსსი-ის შინაგან სნეულებათა საფაკულტეტო თერაპიის კათედრაზე ირიცხება ასპირანტურაში, რომელსაც 1975 წელს ამთავრებს დისერტაციით და მუშაობს მივლინებით ჩრდილოეთ ავღანეთში მთავარ ექიმად.

ავღანეთიდან დაბრუნების შემდეგ არის შინაგან სნეულებათა კათედრის ჯერ ასისტენტი, შემდეგ დოცენტი და ბოლოს 21 წლის განმავლობაში ამავე კათედრის გამგე.

1993 წელს იცავს დისერტაციას მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად და 1994 წლიდან ინიშნება სამკურნალო ფაკულტეტზე დეკანად, შემდეგ პრორექტორად სამკურნალო დარგში, სადაც იგი მოღვაწეობდა 9 წლის განმავლობაში.

5 წლის განმავლობაში იყო თსსუ სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე.

2014 წელს მისი ხელმძღვანელობით დაარსდა კერძო კლინიკა „ჰელსიკორი“, რომელიც წარმოადგენს საქართველო-ისრაელის ერთობლივ დაწესებულებას და მოწინავეა არა მარტო საქართველოში, არამედ ამიერკავკასიაში კარდიოლოგიის, კარდიოქირურგიისა და გულსისხლძარღვოვანი ქირურგიის მიმართულებაში.

გატონი ნოდარი არის აღმზრდელი მრავალი დოქტორანტის, 120-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომისა და სახელმძღვანელოს ავტორია. დაუღალავად მოღვაწეობს ექიმთა პოსტდიპლომური განათლების საქმეში, არის დიდი სასახელო ოჯახის თავკაცი. ჰყავს მეუღლე, სამი შვილი, ექვსი შვილიშვილი და ორი შვილთაშვილი.

მისი მეგობრები ვულოცავთ 80 წლის იუბილეს და ვუსურვებთ მას ნაყოფიერ მოღვაწეობასა და ხანგრძლივ სიცოცხლეს.

გია ავალიშვილი, ანტონ კეკელიძე, ბესარიონ კილასონია, ნოდარ ლომიძე, რომან მახარაძე, ზაურ ფხალაძე, რამაზ ხეცურიანი, ალექსანდრე ციბაძე, შოთა ჯაფარიძე

ვამაყობ თქვენთან მეგობრობით!

4 აპრილი ქართველი ხალხის საყვარელი ექიმის, საყოველთაოდ აღიარებული კარდიოლოგის, უკეთილშობილესი და უმაგრესი თავადის, საფიცარი პიროვნების ნოდარ მიხეილის ძე ემუხვარის დაბადების დღეა. გისურვებთ ჯანმრთელობას და ხანგრძლივ სიცოცხლეს, ჩემო ძვირფასო ნოდარ, ვამაყობ თქვენთან მეგობრობით... ჯერ ხომ ორჯერ 40 წლისა ხარ, საუკუნემდე ჯერ კიდევ შორია!

მრავალჟამიერ!

სიყვარულითა და პატივისცემით
თენგიზ ქავთარაძე

რა გეგმები აქვს ანტიკორუფციულ ბიუროს და მის ახლად დანიშნულ უფროსს

ანტიკორუფციული ბიურო იმ დროს ერთვება კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში, როცა ჩვენი ქვეყანა კორუფციასთან ბრძოლის მხრივ შეფასებულია საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან ერთ-ერთ მოწინავე ადგილზე. ჩვენ დაახლოებით ევროკავშირის 14 ქვეყანას ვუსწრებთ და ნატოს წევრ 11 ქვეყანაზე წინ ვართ, – ამის შესახებ ანტიკორუფციული ბიუროს ხელმძღვანელმა რაუდენ კუპრაშვილმა, ანტიკორუფციული ბიუროს პრეზენტაციაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

მისი თქმით, რამდენიმე დღის წინ დამტკიცდა ანტიკორუფციული ბიუროს დებულება, მანამდე კი შევისწავლეთ ევროპის საუკეთესო გამოცდილება და ამ კონცეფციაზე იქნა აგებული ქართული ანტიკორუფციული ბიუროს დებულება.

„კორუფცია ერთ-ერთი ხელშემშლელი ფაქტორია თანამედროვე დემოკრატიის განვითარებისთვის, ბიზნესის განვითარებისთვის, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისთვის, შესაბამისად, ადამიანს კორუფციის პირობებში უჩნდება უნდობლობა საჯარო სექტორის მიმართ. ამგვარად, ჩვენი ქვეყნის პრიორიტეტს წარმოადგენს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა. როცა 2014 წელს ასოცირების ხელშეკრულებას ხელი მოეწერა, საქართველომ დაიწყო მნიშვნელოვანი რეფორმების განხორციელება. იმ რეფორმების შედეგია ის, რაც გატონმა პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა.

გვიხარია ის ფაქტი, რომ ანტიკორუფციული ბიურო იმ დროს ერთვება კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში, როცა ჩვენი ქვეყანა კორუფციასთან ბრძოლის მხრივ შეფასებულია საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან ერთ-ერთი მოწინავე ადგილზე. ჩვენ დაახლოებით ევროკავშირის 14 ქვეყანას ვუსწრებთ და ნატოს წევრ 11 ქვეყანაზე წინ ვართ.

რამდენიმე დღის წინ დავამტკიცეთ ანტიკორუფციული ბიუროს დებულება. მანამდე ჩვენ შევისწავლეთ ევროპის საუკეთესო გამოცდილება და ასევე ის რეკომენდაციები, რომლითაც შეფასებული იყო სხვადასხვა ქვეყნის ანტიკორუფციული ბიუროები და ზუსტად ამ კონცეფციაზე ავაგეთ ქართული ანტიკორუფციული ბიუროს დებულება. ის პასუხობს ყველა საერთაშორისო ნორმას და კონვენციის ვალდებულებებს.

ანტიკორუფციული ბიუროს ერთ-ერთი მთავარი საქმიანობა გახლავთ ის, რომ პარლამენტის წინაშე წარვადგინოთ კორუფციის წინააღმდეგ წინადადებები. ჩვენ უკვე დავიწყეთ მოლაპარაკებები, სამუშაო ჯგუფის შექმნის მიზნით. პარლამენტთან ერთად შეიქმნება სამუშაო ჯგუფები. აქ ძალიან კარგი მხარდაჭერა გამოგვიცხადა ევროსაბჭომ, იგივე ექსპერტების ჩართულობის თვალსაზრისით. ჩვენ, რა თქმა უნდა, ვითანამშრომლებთ ყველა საერთაშორისო ორგანიზაციასთან და დავიწყებთ აღნიშნული კონცეფციის მომზადებას. მეორე ძირითადი მიმართულება ეს გახლავთ ანტიკორუფციული სტრატეგიული გეგმის შედგენა. მოგეხსენებათ, რომ ეს არის ყოვლისმომცველი დოკუმენტი. შესაბამისად, მას წინ უნდა ახლდეს მნიშვნელოვანი კვლევები და სამუშაოები. ამ მიზნით ჩვენ დავიწყეთ საერთაშორისო პრაქტიკის მოძიება ევროპულ ქვეყნებში და პირველ მნიშვნელოვან დოკუმენტზე, რაზეც დავიწყებთ მუშაობას ეს არის კორუფციის შეფასების დოკუმენტი, რომელიც გახდება საფუძველი სექტორული პრიორიტეტების განსაზღვრა ეროვნულ ანტიკორუფციულ გეგმაში“, – განაცხადა რაუდენ კუპრაშვილმა.

რაუდენ კუპრაშვილის თქმით, ანტიკორუფციულ ბიუროს ექნება ერთ-ერთი ძლიერი ანალიტიკური და საერთაშორისო მიმართულება, ამასთან, შექმნილია ანტიკორუფციული ბიუროს სასწავლო ცენტრი, რომელიც არა მხოლოდ ბიუროს თანამშრომლების გადამზადებას მოემსახურება, არამედ ის სხვადასხვა უწყებებში საჯარო მოხელეებს გადაამზადებს მნიშვნელოვანი მიმართულებებით. რაუდენ კუპრაშვილის განცხადებით, აგრეთვე მნიშვნელოვანი იქნება ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა.

„შემდგომი მიმართულება ანტიკორუფციულ ბიუროს ექნება საერთაშორისო მიმართულება. ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია საერთაშორისო ორგანიზაციებთან მუდმივი კოორდინაცია, ინფორმაციების მიმოცვლა, ამისთვის შევქმენით ცალკე დეპარტამენტი და მუდმივად გვექნება მათთან კომუნიკაცია, ინფორმაციების მიმოცვლა, რაც კიდევ უფრო ეფექტურს გახდის ჩვენი ბიუროს სამუშაოებს. ასევე შევქმენით ანტიკორუფციული ბიუროს სასწავლო ცენტრი, რომელიც არა მხოლოდ ბიუროს თანამშრომლების გადამზადებას მოემსახურება, ის სხვადასხვა უწყებებში საჯარო მოხელეებს გადაამზადებს მნიშვნელოვან მიმართულებებში და ამავდროულად იზრუნებს ცნობიერების ამაღლების მიმართულებით საზოგადოებაში, ჩვენ ძალიან მნიშვნელოვან კამპანიებს განვახორციელებთ.

ანტიკორუფციული ბიურო იქნება ერთ-ერთი წარმატებული ინსტიტუტი კორუფციის მიმართ ბრძოლაში და აქ ძალიან მნიშვნელოვანი იქნება ყველა უწყების მხარდაჭერა!

კადეტთა სამხედრო ლიცეუმი მოსწავლეთა მისაღებად ემზადება

კადეტთა სამხედრო ლიცეუმი 2023-2024 სასწავლო წლისთვის მოსწავლეთა მისაღებად ემზადება. ამ მიზნით, სასწავლო დაწესებულების წარმომადგენლები საჯარო სკოლების მე-8 და მე-9 კლასების მოსწავლეებთან საინფორმაციო შეხვედრებს მართავენ. ინფორმაციას თავდაცვის სამინისტრო ავრცელებს.

„ამ ეტაპზე შეხვედრები მიმდინარეობს იმერეთისა და სამეგრელოს საჯარო სკოლებში. ლიცეუმის სამხედრო მოსამსახურეები და კადეტები უკვე შეხვდნენ ზუგდიდისა და ფოთის საჯარო სკოლების მოსწავლეებს და მათ სასწავლო, სააღმზრდელო, საცხოვრებელი და მიღების პირობები გააცნეს. შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა. მოსწავლეებმა ჩარიცხვის პირობებზე დეტალური ინფორმაცია მიიღეს და რამდენიმე მათგანმა ლიცეუმში სწავლის სურვილიც გამოთქვა. კადეტთა სამხედრო ლიცეუმი ყოველწლიურად ახორციელებს მოსწავლეთა მიღებას. მიიღებიან მოსწავლეები, რომლებიც მიმდინარე წელს ცხრა კლასს ასრულებენ. მოსწავლემ უნდა გააიაროს რეგისტრაცია, ჩაბარეს მისაღები გამოცდები ზოგად უნარებსა და მათემატიკაში, ასევე გააიაროს სამედიცინო შემოწმება. რეგისტრაციისას საბუთების მიმღებ კომისიაზე უნდა გამოცხადდეს, როგორც მოსწავლე, ასევე, ერთ-ერთი მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი (წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტით) და წარმოადგინონ ვებგვერდზე – cadet.mod.gov.ge მითითებული საბუთების ჩამონათვალი“.

მეხანძრე-მაშველების გადამზადება პოლონელთა დახმარებით

შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მეხანძრე-მაშველებს გადამზადების მეორე ეტაპი სვანეთის რეგიონში ჩაუტარდათ.

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ინფორმაციით, სამთო-სამაშველო წვრთნები პოლონური საგრანტო პროგრამის ფარგლებში განხორციელდა.

„მეხანძრე-მაშველებმა ერთი კვირის განმავლობაში, მაღალ მთაში, როგორც თეორიული, ასევე, პრაქტიკული სამაშველო კურსი გაიარეს. კურსის განმავლობაში, პოლონელი ინსტრუქტორები ქართველ მეხანძრე-მაშველებს სამაშველო ოპერაციების საკითხებზე მორჭომსა და ყაზბეგშიც გადაამზადებენ. პოლონური საგრანტო პროგრამის ფარგლებში, პოლონელმა ინსტრუქტორებმა პირველ ეტაპზე 28 მეხანძრე-მაშველი უკვე გადაამზადეს. სწავლება ორგანიზაცია – „ICAD“-ის მიერ, პოლონური საგრანტო პროგრამის ფარგლებში ხორციელდება. კურსის დასრულების შემდეგ, პოლონელი ინსტრუქტორები ქართველ მეხანძრე-მაშველებს სამთო აღჭურვილობას გადასცემენ. პროექტი სამწლიანია და მიზნად საქართველოს მთიან რეგიონებში სამთო-სამაშველო შესაძლებლობების განვითარებას ისახავს“, – აღნიშნულია გავრცელებულ ინფორმაციაში.

გაეროს უშიშროების საბჭო რუსეთის ხელმძღვანელობით

ერთი თვის განმავლობაში რუსეთი გაეროს უშიშროების საბჭოს უხელმძღვანელებს, – ამის შესახებ ნათქვამია ორგანიზაციის tviter-ის გვერდზე. უშიშროების საბჭოს თავმჯდომარეობას რუსეთი როტაციის პრინციპით გადაეცა. გაეროს უშიშროების საბჭოს თავმჯდომარე ქვეყნები ყოველთვიურად იცვლებიან. მათი თანმიმდევრობა ანბანის მიხედვით განისაზღვრება. საბჭოს თავმჯდომარე ქვეყანა ნიშნავს და ხსნის შეხვედრებს, თუმცა არ აქვს უფლებამოსილება, რომ გავლენა მოახდინოს საბჭოს გადაწყვეტილებებზე. ამასთან, ამ გადაწყვეტილებას უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრმა, დმიტრო კულებამ „წარუმატებელი საპირველაპრილო ხუმრობა“ უწოდა, ხოლო უკრაინის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, ანდრეი ერმაკმა განაცხადა, რომ ეს არის კიდევ ერთი სიმბოლური დარტყმა საერთაშორისო ურთიერთობების წესებზე დაფუძნებულ სისტემაზე.

შინაპატიმრობა სასულიერო პირს



კიევის შევჩენკოვსკის რაიონულმა სასამართლომ კიევ-პეჩერის ლავრის მიტროპოლიტ პაველს ორთვიანი შინაპატიმრობა შეუფარდა, რასაც პროკურატურა ითხოვდა. მიტროპოლიტი სასამართლო სხდომათა დარბაზში საავადმყოფოდან გადაიყვანეს, სადაც ამავე სასამართლოს გადაწყვეტილებით, დილით მოათავსეს ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო.

მიტროპოლიტი ეჭვმიტანილია რელიგიათაშორისი სიძულვილის გაღვივებასა და რუსეთის შეიარაღებული აგრესიის გამართლებაში. უკრაინის უსაფრთხოების სამსახურმა მიტროპოლიტის სახლში ჩხრეკა ჩაატარა, რის შემდეგაც, მას ბრალი წარუდგინეს.

ჯო ბაიდენი: ტრანსგენდერი ამერიკელები ჩვენი ერის სულს აყალიბებენ...



„ტრანსგენდერი ამერიკელები ჩვენი ერის სულს აყალიბებენ. ამაყად მსახურობენ ჯარში. მკურნალობენ სასიკვდილო დაავადებებს, იკავებენ არჩეულ თანამდებობებს, აქვთ წარმატებული ბიზნესი, იზრდიან სამართლიანობისთვის, ზრდიან ოჯახებს და მრავალი სხვა. დღეს ძალიან ბევრ ტრანსგენდერ ამერიკელს ჯერ კიდევ უარს ეუბნებიან მათ უფლებებსა და თავისუფლებებზე. შტატების დისკრიმინაციული კანონების ტალღა მიმართულია ტრანსგენდერი ახალგაზრდობისკენ, აშინებს ოჯახებს, ზიანს აყენებს ბავშვებს, რომლებიც არავის ვნებენ“, – განაცხადა ტრანსგენდერთა ხილვადობის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით აშშ-ის პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა.

დანიის ელჩს თავის მართლება მოუწევს...

თურქეთმა ყურანისა და თურქეთის დროშის დაწვის გამო დანიის ელჩი დაიბარა. ამის შესახებ თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაშია აღნიშნული.

„ეს ფაქტი აშკარა მტკიცებულებაა იმისა, რომ ევროპაში ბოლო დროს გაიზარდა ისლამოფობიის, ქსენოფობიის, დისკრიმინაციისა და რასიზმის გამოვლინებები. მსგავსი დანაშაულები ასევე შეურაცხყოფაა მათთვის, ვისაც სჯერა ტოლერანტობის, მშვიდობიანი თანაცხოვრების კულტურისა და დემოკრატიული ღირებულებების“, – აღნიშნულია თურქეთის საგარეო უწყების განცხადებაში. დანიის საზოგადოებრივი მაუწყებლის ცნობით, კოპენჰაგენში თურქეთის საელჩოს წინ გასულ კვირას ყურანი და თურქეთის დროშა დაწვეს. აქციას ულტრამემარჯვენე ჯგუფი ხელმძღვანელობდა. რაც შეეხება დანიურ მხარეს, მათ თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაზე კომენტარი არ გაუკეთებიათ.

ნატო ბელარუსში შეჭრას გეგმავს!!!

ბელარუსის თვითგამოცხადებულმა პრეზიდენტმა ალექსანდრ ლუკაშენკომ ბელარუსი ხალხისთვის გაგზავნილ წერილში განაცხადა, რომ ნატოს ქვეყნები ბელარუსის ტერიტორიაზე შეჭრისთვის ემზადებიან.

„მიიღეთ ჩემი სიტყვა მხედველობაში, არასდროს მომიტყუებიხართ. ისინი (ნატო) ბელარუსის ტერიტორიაზე შეჭრისა და ჩვენი ქვეყნის დასანგრევად ემზადებიან“, – აცხადებს ლუკაშენკო. ლუკაშენკომ თავისი განცხადება იმით ახსნა, რომ მისი აზრით, ნატოს ჯარები დაჩქარებული ტემპით განლაგდებიან აღმოსავლეთის მიმართულებით. ლუკაშენკოს შეფასებით, ბლოკის დაჯგუფებას მხოლოდ პოლონეთსა და ბალტიისპირეთის ქვეყნებში 21000-ზე მეტი სამხედრო მოსამსახურე ჰყავს. **„250 ტანკი, თითქმის 500 ჯავშანმანქანა, დაახლოებით 150 თვითმფრინავი და ვერტმფრენი. ისინი დემონსტრაციულად გადიან წვრთნებს ბელარუსისა და რუსეთის საზღვრებთან“, – აცხადებს ლუკაშენკო.**

სტოლტენბერგი შეიძლება ურსულამ შეცვალოს

ევროკომისიის პრეზიდენტმა, ურსულა ფონ დერ ლაიენმა, შესაძლოა, ნატოს გენერალური მდივნის თანამდებობაზე იენს სტოლტენბერგი შეცვალოს. ევროკომისიის პრეზიდენტის თანამდებობაზე ურსულა ფონ დერ ლაიენის უფლებამოსილების ვადა მომავალ წელს იწურება, თუმცა, მედიის ცნობით, ჩრდილოატლანტიკური ალიანსის რამდენიმე ქვეყანა მიმდინარე წლის ოქტომბერში ნატოს გენერალურ მდივნად ფონ დერ ლაიენის არჩევას უჭერს მხარს.

ბრიტანული მედიის ცნობით, სავარაუდოდ, ლონდონი ფონ დერ ლაიენის კანდიდატურას ვეტოს დაადებს. აღსანიშნავია, რომ 2013-2019 წლებში ურსულა ფონ დერ ლაიენი ანგელა მერკელის მთავრობაში თავდაცვის მინისტრის თანამდებობას იკავებდა. ამასთან, მედიაში ასევე გავრცელდა ცნობა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ნატოს ხელმძღვანელის თანამდებობაზე ურსულა ფონ დერ ლაიენის კანდიდატურას ემხრობა.

რუსის ჯარის განდევნა რთულიაო...

„ზელენსკიმ არაერთხელ განაცხადა საჯაროდ, რომ უკრაინის მიზანია, განდევნოს რუსული ჯარი ყველა უკრაინული ტერიტორიიდან. ეს ურთულესი სამხედრო ამოცანაა. საუბარია ასობით ათას რუს ჯარისკაცზე, რომელიც ჯერ კიდევ რჩება უკრაინის ოკუპირებულ ტერიტორიებზე. მე არ ვამბობ, რომ ეს შეუძლებელია. უბრალოდ ეს ძალიან რთული ამოცანაა. თუმცა ეს მათი მიზანია, მათ აქვთ ამის უფლება, იმიტომ რომ ეს მათი ქვეყანაა“, – განაცხადა აშშ-ის შეიარაღებული ძალების მეთაურთა გაერთიანებული კომიტეტის ხელმძღვანელმა, გენერალმა მარკ მილიმ.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის

განცხადება

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის ვაკანტური ადგილის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია აცხადებს კონკურსს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის ვაკანტური ადგილის დასაკავებლად.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზდენტად შეიძლება აირჩეს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი (აკადემიკოსი).

აკადემიის პრეზიდენტობის კანდიდატის წამოყენების უფლება აქვთ: აკადემიის პრეზიდიუმს, აკადემიის სამეცნიერო განყოფილებებს, აკადემიის წევრთა ჯგუფებსა და აკადემიის ცალკეულ წევრებს.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტობის კანდიდატთა მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს შემდეგი საბუთები (ორ ეგზემპლარად):

- აკადემიის პრეზიდიუმის, სამეცნიერო განყოფილებების ან აკადემიის წევრის/წევრების წარდგინება (დედანი) სათანადო დასაბუთებით, დამოწმებული წარმდგენის ხელმოწერითა და სველი ბეჭდით;
- ფერადი ფოტო 4X6 (2 ცალი);
- სამეცნიერო ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი (დამოწმებული ნოტარიულად);
- მონაცემები შრომითი და სამეცნიერო საქმიანობის შესახებ (CV);
- ძირითადი სამეცნიერო შრომების ჩამონათვალი (უცხოეთში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები აღინიშნება ვარსკვლავით);
- კანდიდატის სამეცნიერო მოღვაწეობის შეფასება;

კანდიდატის პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი;

- ცნობა სამუშაო ადგილიდან საქართველოში მისი მოღვაწეობის დასადასტურებლად;
- საბუთები წარმოდგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე (საჭიროების შემთხვევაში ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი) პირადად პრეზიდენტობის კანდიდატის მიერ.

საბუთები კანდიდატთა რეგისტრაციისათვის მიიღება საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში 2023 წლის 4 აპრილიდან 2023 წლის 4 მაისის ჩათვლით ყოველი სამუშაო დღის 11 საათიდან 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, 0102, ი. ჯავახიშვილის ქ. №51, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია (კანცელარია, ტელეფონი: 2 94 13 21).

აღნიშნული განცხადება და კანდიდატის მონაცემები (CV) განთავსდება საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ვებ-გვერდზე (www.gaas.dsl.ge.), რისთვისაც წარმოდგენილი უნდა იქნეს CD დისკზე ჩაწერილი კანდიდატის CV და ფოტოსურათი.

შენიშვნა: დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში (ტელეფონი: 2 94 13 20).

საქართველოს სოფლის მეურნეობის
მეცნიერებათა აკადემია

განცხადება
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ნუშრევან კოჯაევის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ნუშრევან კოჯაევი (პ/ნ 36001048300), საგარეჯო, ს. ქვემო ლამბალო, მე-3 ქუჩა №6

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:

საგარეჯო, ს. ქვემო ლამბალო, მე-15 ქუჩის 1 შესახვევი №5 (საკადასტრო კოდი: 55.21.51.000.182 https://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 59304.88 ლარი.
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2023 წლის 3 აპრილი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2023 წლის 18 აპრილი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP88015223;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 880152

6. **მოვალე:** ნუშრევან კოჯაევი (პ/ნ 36001048300), საგარეჯო, ს. ქვემო ლამბალო, მე-3 ქუჩა №6.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
8. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP88015223; ლოტის ნომერი: 880152).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2023 წლის 18 აპრილის 10:00 საათამდე.

საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის

განცხადება

ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (შემდგომში - დეპარტამენტი), ახორციელებს E-60 ჩქაროსნული მაგისტრალის სამტრედია-გრიგოლეთის საავტომობილო გზის კმ 30.0 - კმ 42.0 მონაკვეთის (ლოტი III) მშენებლობის პროექტს (შემდგომში - პროექტი).

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოექცა მოქალაქეების **ზურაბ ბოლქვაძის (პ/ნ 26001000163), ავთანდილ ბოლქვაძის (პ/ნ 26001033504), ანიკო სურმანიძის (ყოფილი ბოლქვაძე) (პ/ნ 26001025026) და ხათუნა ბოლქვაძის (პ/ნ 26001025025)** (შემდგომში - თანამესაკუთრეები/მოქალაქეები) **თანასაკუთრებაში არსებული, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის, სოფელ ლესაში მდებარე, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, 1870 კვ. მეტრი მიწის ნაკვეთის (ს/კ 27.10.41.198) ნაწილი - 182 კვ. მეტრი.**

დეპარტამენტის მხრიდან წარმოებული მოლაპარაკებების მიუხედავად, თანამესაკუთრეებთან ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება საექსპროპრიაციო ქონების ნებაყოფლობით გამოსყიდვის თაობაზე. მედიაციის რესურსის ამოწურვის შემდეგ, თანამესაკუთრეებს დამატებით, წერილობით ეცნობათ განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცათ პროექტის ფარგლებში მოქცეული საკუთრების ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება, პროექტის ფარგლებში შედგენილი მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმით განსაზღვრული ღირებულების სანაცვლოდ. თანამესაკუთრეები ინფორმირებულები იყვნენ, რომ შეთანხმების მიუღწეველობის შემთხვევაში, დეპარტამენტი იმოქმედებდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაბამისად, რაც ითვალისწინებს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ქონების ჩამორთმევას.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით და კანონის დანაწესის შესაბამისად, დეპარტამენტმა დაიწყო ექსპროპრიაციის პროცედურები.

„აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2023 წლის 17 მარტის №1-1/103 ბრძანებით (შემდგომში - ბრძანება) დეპარტამენტს მიენიჭა ექსპროპრიაციის უფლება მოქალაქეების თანასაკუთრებაში არსებულ, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის, სოფელ ლესაში მდებარე, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, 1870 კვ. მეტრი მიწის ნაკვეთის (ს/კ 27.10.41.198) ნაწილზე - 182 კვ. მეტრზე.

ბრძანება გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებგვერდზე.

დეპარტამენტი, უახლოეს მომავალში მიმართავს სასამართლოს, მოქალაქეების თანასაკუთრებაში არსებულ საექსპროპრიაციო ქონებაზე ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით.

◎ ტრიუმფი

არაბიძის გაზაფხული

ფეხბედნიერი გამოდგა ქართველ მოჭადრაკეთათვის მონტენეგროს ქალაქ პეტროვაცში გამართული ქალთა შორის ევროპის 23-ე ინდივიდუალური ჩემპიონატი.

განსაკუთრებით გვასახელა 29 წლის საერთაშორისო დიდოსტატმა **მერი არაბიძემ,** რომელიც ნანა ძაგნიძის (2017 წ.) შემდეგ ჩვენი მეორე თანამემამულე გახდა, ვინც დამოუკიდებლობის პერიოდში კონტინენტური ფორუმის ოქროს მედალი მოიხვეჭა. აღსანიშნავია, რომ ახალმა გვირგვინოსანმა 11-ტურიანი ტურნირი დაუმარცხებლად დაასრულა – 6 მოგება, 5 ყაიმი და 8,5 ქულით, მაგრამ უკეთესი დამატებითი მაჩვენებლებით, ასეთივე შედეგის მქონე ოლივია კოლგასა მეორე ადგილზე დატოვა.

მერიმ ბრძენთა თამაში 6 წლისამ დააჭაშნიკა და ნორჩი ასაკიდანვე დაებედა წარმატებები: ჯერ იყო და რამდენჯერმე აჯობა ყველა თანატოლს იმერეთის პირველობებსა და შავი ზღვის აუზის ქვეყნების საერთაშორისო ფესტივალებზე, ხოლო შემდეგ ეტაპობრივად იმარჯვებდა როგორც სხვადასხვა ასაკის ეროვნულ, ისე ევროპისა თუ მსოფლიოს ჩემპიონატებზე. აღარაფერს ვამბობთ იქვე დაკავებულ საპრიზო ადგილებზე, კარიერული პროგრესი და სტაბილურობა კი გალკანური ტრიუმფით დაგვირგვინდა. ვიმედოვნებთ, არაბიძეს კიდევ ბევრჯერ მივულოცავთ მისი ნიჭის გაბრწყინებებს.

დავძენთ, რომ ასევე ღირსეულად წარმოაჩინა ქართული საჭადრაკო სკოლა გათუმელმა საერთაშორისო დიდოსტატმა **სალომე მელიამ,** რომელმაც მესამე-მეექვსე პოზიციები გაიყო.

◎ ფიცარნაგზე

მედალთცვენა

ძალოსნობა და ქართველ გოლიათთა წარმატებები რომ სინონიმებია, სამამულო სპორტის მდიდარი ისტორიაც მოწმობს. სახელოვან წინამორბედებზე რომ არაფერი ვთქვათ, პლანეტაზე თანამედროვეობის უღონიერესი ადამიანის ლაშა ტალახაძის დასახელებაც საკმარისია, კიდევ უფრო სასიამოვნო კი ის გახლავთ, რომ ჯერჯერობით „მხოლოდ“ ორგზის ოლიმპიურ ჩემპიონ ჩვენს ცოცხალ ლეგენდას მემკვიდრეებიც ღირსეულნი ეზრდებიან.

წინა ნომერში უკვე გაუწყეთ, რომ ალბანეთის ქალაქ დურესში მიმდინარე შტანგისტ ჭაბუკთა მსოფლიო ჩემპიონატზე ტრიუმფალურად იასპარეზა **ლევან ოჩიგავამ** (81 კგ), რომელმაც ორჭიდში მოხვეჭილ ოქროს მედალს (322 კგ) ცალკეულ მოძრაობებში დამსახურებული ჯილდოებიც დაუმატა – ასევე ოქრო აკვრაში (179 კგ) და ვერცხლი ატაცში (143 კგ).

გვირგვინოსან თანაგუნდელს შესანიშნავად აუბეს მხარი **საბა ადამიამ** (102) და **მარიამ მურღვლიანმა** (81), რომლებმაც ჯვაროსანთა ყულაბა 3-3 ვერცხლით დაამძიმეს, ფორუმის დასკვნით დღეს კი ბარაქიანი წერტილი **ირაკლი ვეკუამ** (მძიმე წონა დასვა). მან ოჩიგავას მსგავსად, დიდ ოქროს ამავე სინჯის მცირე და კიდევ ერთი მჭლე ვერცხლი წააშველა.

ვულოცავთ!

◎ რჩეული

მარტის ხვიჩასია

სამშობლოდან იტალიაში დაბრუნებულ ხვიჩა კვარაცხელიას კიდევ ერთი აღიარება ელოდა – იგი სერია – ა-ს მარტის თვის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს, კონკურენტთა შორის კი კორეელი თანაკლუბელი, ნაპოლის დაცვის ბურჯი კიმ მინ-ჯე და რომას არგენტინელი ლიდერი პაოლო დიბალა ჰყავდა.

აქამდე უნიჭიერესი ქართველი ლეგიონერის ქომაგებს განსაკუთრებით გამოსარჩევად აპენინური კარიერის ხმაურიან სტარტზე მონცასთან შესრულებული პირველი დუბლი მიგვაჩნდა, ამიერიდან კი თავს უკვე ჩვენი თანამემამულის სადებიუტო ჰეთ-თრიქით მოვიწონებთ – მას ხომ უპირატესობა აგვისტოსა და თებერვალშიც მიანიჭეს.

სხვათა შორის, ეს საერთოდ პირველი შემთხვევაა, როცა სეზონის განმავლობაში აღნიშნულ ნომინაციაში ვინმემ ერთბაშად სამჯერ გაიმარჯვა, არადა, კალჩოს ფინიშამდე წინ კიდევ ორი თვეა და ვიმედოვნებთ, სკუდეტოს დიდი ალბათობით დაუფლების შემდეგ კვარა ჯერჯერობით საუკეთესო შედეგსაც გაუმჯობესებს.

დასასრულს, იმასაც შეგახსენებთ, რომ მარტში ულამაზესად იტალანტასთან საშინაო შეხვედრაში მისი ფილიგრანული ინდივიდუალური ოსტატობით გატანილი გოლიც მიიჩნიეს.:

თუმცა, ჯერ სადა ხართ – გაგრძელება აუცილებლად იქნება, თანაც – საამაყო!

◎ პატივგება

იგი თავადაა მედალი...

ქართული სპორტული ფოტოხელოვნების ბერმუხა ალექსანდრე კოტორაშვილი კვლავაც მოვლენათა ეპიცენტრში ტრიალებს, არადა, როცა მას შეხედავ, ძნელია დაიჯერო, რომ უკვე 80 წელი „მოკეცა“.

საპასპორტო მონაცემები რას მიქვიანო, სწორედაც რომ ამ დაუდგრომელ, მუდამ ჭაბუკური ენერგიით დამუხტულ შემოქმედზეა ნათქვამი.

ᲘᲓᲦᲔᲑᲠᲫᲔᲚᲔ, ᲝᲡᲢᲐᲢᲝ!

ამ დღეებში ჭეშმარიტ პროფესიონალს კიდევ ერთ აღიარებას ვულოცავთ – საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა ქართული სპორტისა და ოლიმპიური მოძრაობის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის, აგრეთვე დამადების 80 წლისთავთან დაკავშირებით ჩვენი ძვირფასი კოლეგა და მეგობარი სეოკ-ის საიუბილეო მედლით დააჯილდოვა.

„სრ“ სპორტის რედაქცია

◎ ფორუმი

არის საგზური!

ჯგუფურ ეტაპზე წარმატებული თამაშის შემდგომ, საქართველოს მინი ფეხბურთის ნაკრებმა მეოთხედფინალურ ეტაპზე ალბანეთიც დაამარცხა.მატჩის მე-6 წუთზე ანგარიში ლაშა ღონღაძემ გახსნა და საქართველოს ნაკრებმა პირველი ტაიმი მინიმალური ანგარიშით მოიგო.

მეორე ტაიმში ჩვენი მასტერლიგის ნაკრები კიდევ უფრო დიდი შემართებით გავიდა მოედანზე. 22-ე წუთზე **გიორგი კიკნაძემ** სხვაობა ორბურთიანი გახადა. 3 წუთში ალბანელებმა ერთი ბურთის გაქვითვა შეძლეს, თუმცა 32-ე წუთზე **ლუკა ბლიაძემ** ორბურთიანი სტატუს ქვო აღადგინა. მატჩს წერტილი უძლიერესი საჯარიმო დარტყმით **ლევან ჩიხრაძემ** დაუსვა - 4:1.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს მინი ფეხბურთის ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის ჯგუფურ ეტაპზე ჯერ ირლანდია - 2:1, შემდეგ კი კვიპროსი - 3:2 დაამარცხა და პლეი–ოფში თამაშის უფლება მოიპოვა, სადაც ალბანეთსაც სძლია. აღსანიშნავია, რომ ამ გამარჯვებით საქართველოს ნაკრებმა მსოფლიო ჩემპიონატზე თამაშის უფლებაც მოიპოვა.

◎ ოვალური ბურთი

საინტერესო გამოწვევა

„ჩვენი მიზანია ხარისხიანი სათამაშო პრაქტიკა მივიღოთ, ასევე გამოვცადოთ საკუთარი თავი სხვა ფორმატისა და შესაძლებლობების ტურნირში. რაგბი ევროპის სუპერთასზე მასიური, ფიზიკურობაზე ორიენტირებული გუნდები თამაშობენ, სამხრეთ ამერიკაში კი უფრო ლაღი და სწრაფი თამაში მიდის. სწორედ ამ სტილზეა მორგებული მსაჯობაც და საინტერესო გამოწვევა გველის“ – ამბობს „შავი ლომის“ კაპიტანი **მერაბ შარიქაძე** სამხრეთამერიკულ ტურნეზე გამგზავრების წინ, რომლის ფარგლებში ჩვენი გუნდი 8 აპრილიდან 6 მაისის ჩათვლით 5 თამაშს გამართავს.

ტურნეს ფარგლებში ჩვენი მეტოქე ორი არგენტინული გუნდი, ჩილესა და ურუგვაის ნაკრებები, ასევე სუდამერიკის სტუმარი იქნება.

„გუნდები, რომელთაც სამხრეთ ამერიკაში ვეთამაშებით, ჩვენი ინფორმაციით სწრაფი რაგბის მიმდევრები არიან. შარშან ზაფხულში, არგენტინა XV-ს ქუთაისში რომ ვეთამაშეთ, იმ შემადგენლობაში მყოფი მორაგბეების 90% ამერიკის სუპერლიგაში თამაშობს და ჩვენი თვალით ვნახეთ, რამდენად ხარისხიანი მორაგბეები არიან“ – აღნიშნავს შარიქაძე.

„შავ ლომს“ სამხრეთ ამერიკაში ბორჯღალოსანი **მიხეილ ნარიაშვილი** შეუერთდება, რომელმაც კოჭისა და მუხლის ოპერაციის შემდეგ რეაბილიტაციის პროცესი დაასრულა:

„ჩვენთვის უსაყვარლესი და ძალიან მნიშვნელოვანი მოთამაშე მიხეილ ნარიაშვილი შემოგვიერთდა, რომელმაც ტოპ 14-ში არაერთხელ გამოიჩინა თავი და წლების განმავლობაში საუკეთესო პირველი ნომერი იყო. უმძიმესი ტრავმის შემდეგ მან ფაქტობრივად შეუძლებელი შეძლო და წარმოუდგენელი სიტუაციიდან დაბრუნდა. ასეთ რამეს მხოლოდ მიშა თუ შეძლებდა და დიდი იმედი მაქვს, ის ეროვნულ ნაკრებშიც დაბრუნდება“.

ბრძენთა თამაში

95 წლის ოთარ შონიას ნააზრევი



ᲗᲔᲗᲠᲔᲑᲘ ᲘᲬᲧᲔᲑᲔᲜ ᲓᲐ ᲘᲑᲘᲯᲔᲜ

თრ. 1.ᲛᲤ d2; 2.ᲬᲬ⁄1,⁄7; 3.ᲛᲛ ⁄4,⁄5; 4.ᲬᲬ ⁄3,⁄3.

შ. 1.ᲛᲤ ⁄5; 2.Ე ⁄7; 3.Წ ⁄5; 4.Მ ⁄6; 5.ᲬᲬ ⁄5,d6,d7,⁄5,⁄7,⁄7.

ᲐᲛᲝᲮᲡᲜᲐ

1.Წ⁄1-d2 (მუქარა 2.Მ⁄4-d3×) 1....Მ ⁄6-⁄4 2.Მ⁄4-d3+ Მ⁄4:d3 3.ᲛᲤ d2:d3 (მუქარა 4.Წ⁄3-⁄4×) 3....Წ d6-d5 4.Წ⁄3-⁄4+ ᲛᲤ ⁄5-⁄6 5.Წ⁄7:⁄5 Წ⁄7-⁄6 6.Მ ⁄5-⁄6 Წ ⁄5-⁄4+ 7.ᲛᲤ d3-d4 Წ ⁄4-⁄3 8.Წ d2:d5+ ᲛᲤ ⁄6-⁄7 9.Მ⁄6-⁄4+ᲛᲤ ⁄7-⁄8 10.Მ ⁄4-d6+ ᲛᲤ ⁄8-⁄8 11.Წ⁄5-⁄6+ᲛᲤ⁄8-⁄7 12.ᲛᲤ d4:⁄5 Წ ⁄3-⁄2 13.Წ ⁄6-⁄5+ᲛᲤ ⁄7-⁄8 14.ᲛᲤ ⁄5-⁄6 Წ ⁄2-⁄1 ᲚᲝ 15.Წ ⁄5-⁄6×

თურმე უდანაშაულო ყოფილა...

„შეიწყალეთ ნიკა გვარამია“! ამ სათაურით, 15 მარტს, ერთ-ერთ რესპუბლიკურ გაზეთში გამოქვეყნდა სკოლის პედაგოგების მიმართვა საქართველოს პრეზიდენტისადმი შეიწყალოს „მთავარი არხის“ გენერალური დირექტორი, ნიკა გვარამია. არგუმენტად მოყვანილია, რომ „პრეზიდენტი თუ შეიწყალებს ჟურნალისტ გვარამიას, ამით ქვეყანა კიდევ უფრო დაუახლოვდება ევროკავშირის გაწევრიანებას“. ასევე მიმართვაში ნათქვამია, რომ „ნიკა გვარამია დაკავებულია არ არსებული დანაშაულის გამო, ამსურდული ბრალდებით“.

ვისაც, ორ-სამჯერ მაინც დაუწერია და გამოუქვეყნებია საჯარო ინფორმაცია, ვინც იცის პედაგოგების აუწონელი შრომის ფასი შეუძლებელია არ უთანაგრძნოს წერილის ავტორებს. თუმცა...

თუმცა, ჟურნალისტებისა და პედაგოგებისადმი ჩემი თავდახრისა და პატივისცემის მიუხედავად, თანაგრძნობა არ გამიჩნდა მათი მოთხოვნისადმი. არ გამიჩნდა კი არა, სიბრაზემ მძლია. ნურავინ იფიქრებს, რომ ადამიანის დასჯა და ციხეში გამოკეტვა მსურდეს. მით უფრო თუ ის უდანაშაულოა. მაგრამ ...

მაგრამ, რა ვუყოთ, რომ ნიკა გვარამიას მიმართ სისხლის სამართლის დანაშაულია აღძრული. მე არ გამოვდგები არავის ვექილად და არც მომრიგებელ-მოსამართლედ, მაგრამ მიუხედავად გარკვეული დროის გასვლისა გონებიდან არ ამომდის ამაზრზენი ეპიზოდი და მისი გინძური სიტყვები. როცა საკითხი ეხებოდა ქართული ღვინოს ,ჩვენი სავიზიტო ბარათის საზღვარგარეთ გატანას, ტელევიზიის ეკრანიდან ყვირილამდე მისულმა მსოფლიოს გასაგონად თქვა „იმ ღვინის ბოთლებში ჩავაფსიო“.

ძვირფასო პედაგოგებო. ამას არ ვიგონებ და არც ვაბუქებ. თქვენი თვალებით ხომ დაინახეთ და თქვენივე ყურით მოისმინეთ ეს უმსგავსო საქციელი და სიტყვები? ძალიან, ძალიან მაინტერესებს, მაშინ რა განიცადეთ? ალბათ უარყოფითი განცდა დაგეუფლათ. რატომ ივიწყებთ ამას? მაშინ რად არ აღშფოთდით, რად არ შეჰკარით მუშტი და ცხვირ-პირში არ ჩააბილეთ იმ ტუტუც გენერალურ დირექტორს? განა ესაა მხოლოდ?! მისი უხეში, არა კორექტული და გინძური გამონათქვამების დასტად შეკვრა შეიძლება.

თუ უარყოფითი შეგრძნება და განცდა არ გაგიჩნდათ, მაშინ სხვა რამეშია საქმე!... განათლებულმა, ნიჭიერმა და საზოგადოებაში ცნობილმა პიროვნებამ საჯაროდ როგორ უნდა იკადროს იმის თქმა, რაც თავგასულმა გვარამიამ გაბედა და იკადრა.

ვაზი ხომ ქართველი კაცისთვის ღვთის საჩუქარია? მისი თითოეული ლერწამი, თითოეული მტევანი მარგალიტია, ღვინო კი ზეციური ნაჟური!

ვაზი და ღვინო ქართველი კაცის ფიქრის, ოცნების, გარჯის განუყოფელი ნაწილია. რამდენი ლექსი, რამდენი სიმღერა, რამდენი უმშვენიერესი სიტყვები მიუძღვნეს მას და მიუძღვნიან მომავალში. ბევრმა იცის იოსებ ნონეშვილის შესანიშნავი სტროფები, რომელსაც ქართული ესტრადის მშვენება ნანი ბრეგვაძე მღეროდა:

„ვაზო, ლამაზო, ფესვებ ნაკურთხო,
ვაზო ქართველი კაცის დიდებავ .
ფერით ზურმუხტო, ბარაქით უხვო,
შენით სამშობლო ხარობს, ირთვება...
...შემოდგომაზე მითხარ ასულო,
რთველი არის თუ შენი ქორწილი?!“

ქართველი კაცი ვაზს ყოველთვის შვილივით ნაზარდს უწოდებდა. ვაზის ჯვრით ხელში შემოვიდა წმინდა ნინო საქართველოში და გვაზიარა ქრისტიანობას. ქართველი კაცი და ქართული ვაზი ერთმანეთის მოჭირნახულენი არიან. ქართულმა ვაზმა, ქართველ კაცთან ერთად ზიდა ისტორიის სიმძიმე. ღვინო ქართული სუფრის მშვენებაა. ის მსოფლიოში უნიკალურია. ღვინიანი თასით ლოცავენ მეფეპატარძალს. მისი თანხლებით ინათლება ახალშობილი. ღვინით ამბობენ შესანდობარს...

იმათგან რით განსხვავდება გვარამია, რომლებიც ჩეხდნენ ვაზს, ამტვრევდნენ ქვევრებსა და მარნებს. ბილწავდნენ ღვთიურ სიწმინდეებს?

და შენ, ნიკა გვარამიავ, ტუტუცზე მეტო, რამდენი რამე აამყრალე და შეურაცხყავ!!!

აღშფოთება ახლა იმიტომ გამიმძაფრდა, რომ შევიტყვე, გვარამიას დასაცავად რაღაც ჯგუფი თუ საზოგადოება შეიქმნა და აცხადებენ, რომ გვარამია აბსურდული ბრალდებითაა დაკავებული. დღემდე წყნარად რომ „იჯდა“, მეგონა ინანიებდა ჩადენილ დანაშაულებს, მაგრამ არა. „კუმ“ გამოაჩინა ფეხები. თურმე აბსურდული, მოგონილი ბრალდებით იხდის სასჯელს ეს თავგასული, სიტყვაბინძური „დირექტორი“. უპირველესად, საჯაროდ ყოვლად მიუღებელი გამონათქვამების, ერის კულტურის, ყოფის, მისი იდენტობის წაბილწვისთვის იმსახურებს საკადრისს!..

ბორის დავითაია,
სენაკი.

⊙ ვერნისაჟი

მამა-შვილის დიდი ბენეფისი

ეროვნულ გალერეაში (რუსთაველის გამზირი №11) ახლახან გაიმართა მამა-შვილის ჯემალ და გიორგი კუხალაშვილების ნახატების პერსონალური გამოფენა, რომელიც გახსნა კულტურის მინისტრის მოადგილემ კახა სიხარულიძემ. მან ვრცლად ისაუბრა მათ შემოქმედებაზე.

ჯემალ კუხალაშვილის შემოქმედება განსაკუთრებული პერსონალურობით გამოირჩევა, ხატავს ყოველდღიურობას მთელი თავისი მრავალფეროვნებით და მრავალწახნაგოებით. მხატვრული სამყაროს მისეული აღქმა მეტად ინტენსიურია...

ქართველი ფერმწერი გიორგი კუხალაშვილი 2002-2007 წლებში სწავლობდა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში. ახალგაზრდა მხატვრის შემოქმედებაში ადრეულ ეტაპზევე თვალსაჩინო გახდა ინტერესი რელიგიური, ალეგორიული და მისტიკური თემებისადმი. XXI საუკუნის ადამიანს გიორგი კუხალაშვილს სურს ჩასწვდეს თავის სულიერ წარმომავლობას, მხოლოდ ინტელექტუალური ძალებით კი ეს შეუძლებელია. ხელოვნება საფეხურია, რომელიც სპირიტუალურ სამყაროში შეგიძღვება. გამოფენა „ზღურბლის მიღმა“ მატერიალურ და სულიერ სამყაროთა ავტორისეული მხატვრული ინტერპრეტაციაა.

მამა-შვილის შემოქმედება შეგიძლიათ იხილოთ ქართული სახვითი ხელოვნების მუზეუმების მუდმივ ექსპოზიციაში. ხელოვნებათმცოდნე მაკა ბეჟუაშვილმა აღნიშნა – დიდი ბედნიერებაა ჩვენთვის, რომ ვმასპინძლობთ ცნობილი მხატვრების ჯემალ და გიორგი კუხალაშვილების პერსონალურ გამოფენას, რომელიც 8 აპრილამდე გასტანს. ჯემალ და გიორგი კუხალაშვილებმა მადლობა გადაუხადეს გამოფენის გახსნაზე მოსულ საზოგადოებას, სადაც ბევრ ცნობილ სახეს ნახავდით – ოჯახის წევრებს, ახლო ნათესავებს, მეგობრებს. ეროვნული გალერეის ოთხ დარბაზში გამოფენილმა ფერწერულმა ტილოებმა უდიდესი სიამოვნება მიანიჭა ხელოვნების მოყვარულთ.

ნანა ჭიჭინაძე

ვიოლა ფონ კრამონი ლაზარე გრიგორიადისის მხარდამჭერთა შორისაა!

საქართველოში ვიზიტით მყოფი ევროპარლამენტარი ვიოლა ფონ კრამონი მთავრობის ადმინისტრაციასთან, 7-9 მარტის მოვლენების დროს დაკავებული ლაზარე გრიგორიადისის მხარდამჭერ აქციაზე მივიდა. როგორც მან ჟურნალისტებს განუცხადა, მას სურს სოლიდარობა გამოუცხადოს.

„როგორც ყველა დანარჩენი, იმისთვის ვარ აქ, რომ სოლიდარობა გამოვიჩინო იმ ადამიანის მიმართ, რომელიც დაიკავეს. ვფიქრობ, რომ იმის მიუხედავად, თუ რა ქნა მან, მიუღებელია პარლამენტში მისი იმიჯის გამოცალკევება და აშკარად სპეკულირება, რომ იგი და ხალხის კონკრეტული ჯგუფი ძირს უთხრიან ამ პროტესტს.

ვფიქრობ, მნიშვნელოვანია იმის თქმა, რომ ყველა პიროვნებას აქვს ამ „უცხოური გავლენის“ კანონპროექტის წინააღმდეგ პროტესტის თანაბარი უფლება“, – განუცხადა IPN-ის ცნობით კრამონმა ჟურნალისტებს.

გიორგი ვოლსკი: ფონ კრამონი საქართველოს წინააღმდეგ შეთქმულებაში იღებს მონაწილეობას

ვიოლა ფონ კრამონი ამ სადისტური მოქმედებების მხარდაჭერით ყველაფერს ხაზს უსვამს. იგი ჩამოვიდა, რათა დისკრედიტაცია მოახდინოს დასავლური პოლიტიკის, რაზეც სალომე ზურაბიშვილი ასეთ ხმამაღალ განცხადებებს აკეთებდა და ყველაფერი უკვე ნათელი გახდა, – ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის პირველმა ვიცე-სპიკერმა გიორგი ვოლსკიმ განაცხადა.

„ფაქტობრივად ეს არის სტრატეგია, რომელიც აქციებიდან ფიზიკურ დაპირისპირებაში უნდა გადაიზარდოს, ისეთი ტიპის სამოქალაქო დაპირისპირებაში, რომელიც აუცილებლად დაკავშირებულია სისხლთან და ადამიანურ მსხვერპლთან. ფონ კრამონი არის ერთ-ერთი, ვინც ევროპარლამენტის ტრიბუნიდან ამას მხარს უჭერს. საქართველოს წინააღმდეგ შეთქმულებაში მონაწილეობას იღებს ფონ კრამონი და ასევე ის ადამიანი, ვინც ევროპარლამენტში რეზოლუციის შემქმნელები და ლობისტები არიან, რომელიც ასევე საქართველოს წინააღმდეგ არის მიმართული“, – განაცხადა გიორგი ვოლსკიმ.

ბრალდებული დანაშაულს არ აღიარებს

სასტუმრო „ამბასადორის“ გადაწვაში ბრალდებული კაცი დანაშაულს არ აღიარებს, – ამის შესახებ ტვ „პირველთან“ საუბარში მისმა ადვოკატმა პაატა გოგოლაძემ განაცხადა. ბრალდებულ ანზორ ლომიძის მტკიცებით, სასტუმროში არც ცეცხლი გაუჩენია და არც კაზინოში შესულა.

„ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი არ ცნობს თავს დამნაშავედ აღნიშნულ ქმედებაში. ამას რომ დავუმატოთ ისიც, რომ შეუძლებელია გამოკვლეული იყოს ყველა მოტივი და მიზანი, ამავე დროს გამოკვლეული იყოს განზრახვა. ვერსია, რომელიც მუსირებს, რომ თითქოსდა კაზინოში მან რაღაც თანხა წააგო და გაბრაზებულმა შემდეგ გადაწვა ობიექტი, მისივე განცხადებით, არანაირ სიმართლეს არ შეესაბამება. წარმოიდგინეთ ადამიანი, რომელსაც ემუქრება საშიშროება, ის არ დაიწყებს ტანსაცმლის მოძიებას. ერთადერთი ინსტინქტია, გამოვიდეს ნებისმიერი საშუალებით,“ – განაცხადა ადვოკატმა.

გოგოლაძე დაკავებულისთვის ფსიქიატრიული ექსპერტიზის დანიშვნას მოითხოვს. როგორც იცით, პოლიციამ თბილისში, სასტუმრო „ამბასადორში“ ხანძრის გაჩენის ფაქტზე 28 წლის მამაკაცი დააკავა. როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, ხანძარი სასტუმროს ერთ-ერთ ნომერში მყოფმა სტუმარმა გააჩინა. მას **3-იდან 5 წლამდე** პატიმრობა ემუქრება.

განცხადება

2023 წლის 25 აპრილს 12 საათზე ჩატარდება სააქციო საზოგადოება „ოპოზარის“ აქციონერთა საერთო კრება შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. წინამძღვრიშვილის ქ. №121.

დღის წესრიგი:

1. 2022 წლის დივიდენდისა და 2023 წლის იანვარ-თებერვლის დივიდენდის გაცემის საკითხი
(მომხსენებელი გიორგი ღუდუშაური)

2. სს „ოპოზარის“ სამეთვალყურეო საბჭოს შეცვლა;
(მომხსენებელი გიორგი ღუდუშაური)

3. სს „ოპოზარის“ (ელექტრონული საფოსტო მისამართის შეცვლა;
(მომხსენებელი გიორგი ღუდუშაური)

4. სს „ოპოზარის“ სადამფუძნებლო შეთანხმების დამტკიცება და სს „ოპოზარის“ წესდების ახალი რედაქციის დამტკიცება;
(მომხსენებელი გიორგი ღუდუშაური)

5. სს „ოპოზარის“ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის გასხვისებისა და მასზე დეველოპერული პროექტის განხორციელების საკითხი.
(მომხსენებელი გიორგი ღუდუშაური)

სს „ოპოზარის“ აქციონერთა რეგისტრაციის საღრიცხვო დღეა 2023 წლის 26 მარტი.

დღის წესრიგთან დაკავშირებულ საკითხებზე ინფორმაციის მიღება აქციონერებს შეუძლიათ ს.ს. „ოპოზარის“ დირექციაში.

ტელეფონი 599 06 06 08.

ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲞᲠᲘᲖᲘ ᲐᲙᲔᲗᲣᲠ „ᲮᲐᲡᲐᲜᲑᲔᲒᲣᲠᲐᲡ“

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲛᲐ ᲐᲠᲮᲛᲐ ᲮᲐᲚᲮᲣᲠᲘ ᲛᲣᲡᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲖᲔ – Svetozar Stracina Grand Prix – ᲬᲐᲠᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘ ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲘᲗ „ᲮᲐᲡᲐᲜᲑᲔᲒᲣᲠᲐ“ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲞᲠᲘᲖᲘ – „ᲮᲐᲚᲮᲣᲠᲘ ᲛᲣᲡᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲩᲐᲜᲐᲬᲔᲠᲘ“ ᲛᲝᲘᲞᲝᲕᲐ. ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘ ᲡᲚᲝᲕᲐᲙᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲛᲐᲣᲬᲧᲔᲑᲚᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲘᲧᲝ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲔᲑᲣᲚᲘ.

ᲮᲐᲚᲮᲣᲠᲘ ᲛᲣᲡᲘᲙᲘᲡ ᲛᲔ-11 ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲨᲘ 12-ᲛᲐ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲛ ᲛᲘᲘᲦᲝ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲐ, �გᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘ ᲙᲘ ᲒᲐᲚᲐ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲔᲑᲐᲖᲔ 30 ᲛᲐᲠᲢᲡ ᲒᲐᲛᲝᲕᲚᲘᲜᲓᲜᲔᲜ.

„ᲮᲐᲡᲐᲜᲑᲔᲒᲣᲠᲐᲡ“ ᲨᲔᲛᲡᲠᲣᲚᲔᲑᲚᲔᲑᲘ �გᲣᲠᲘᲘᲡ ᲡᲝᲤᲔᲚ ᲖᲔᲛᲝ ᲐᲙᲔᲗᲘᲡ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲐᲜᲡᲐᲛᲑᲚ „ᲨᲐᲕᲜᲐᲨᲐᲓᲐᲡ“ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ, ᲩᲐᲜᲐᲬᲔᲠᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲠᲘ ᲙᲘ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲛᲐᲣᲬᲧᲔᲑᲚᲘᲡ ᲠᲐᲓᲘᲝᲡ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲘ, ᲮᲐᲚᲮᲣᲠᲘ ᲒᲐᲓᲐᲪᲔᲛᲘᲡ – „ᲩᲐᲙᲠᲣᲚᲝ“ ᲓᲐ „ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲣᲚᲘ ᲛᲣᲡᲘᲙᲐ“ ᲐᲕᲢᲝᲠᲘ ᲓᲐ ᲬᲐᲛᲧᲕᲐᲜᲘ ᲓᲐᲕᲘᲗ ᲪᲘᲜᲪᲐᲫᲔ, ᲮᲛᲘᲡ ᲠᲔᲟᲘᲡᲝᲠᲔᲑᲘ – ᲠᲐᲛᲐᲖ ᲭᲣᲠᲐᲫᲔ ᲓᲐ ᲑᲐᲙᲝ ᲮᲕᲘᲩᲘᲐ. ნიმუში ჩაწერილია ხუხუნაიშვილებთან დაკავშირებული ექსპედიციის დროს ზემო აკეთში, ანზორ ერქომაიშვილის 80 წლის იუბილეზე, სუფრასთან.

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲘᲐ�პᲝᲜᲔᲚᲔᲑᲘ

„ᲨᲔᲠᲐᲢᲝᲜᲨᲘ“ ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲛᲔᲖᲣᲠᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲤᲘᲚᲛᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲐ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ. ᲤᲘᲚᲛᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲬᲝᲓᲔᲑᲘᲗ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲘᲐ�პᲝᲜᲘᲐ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ ᲛᲔᲡᲐᲛᲔᲓᲘ“ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲘᲐ�პᲝᲜᲘᲘᲡ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲬᲚᲘᲐᲜ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲛᲑᲔᲑᲡ ᲔᲫᲦᲕᲜᲔᲑᲐ.

ნაჩვენებია ქართულ-იაპონური კულტურა, იმ ქართველების ისტორიები, რომლებმაც იაპონიაში წარმატებას მიაღწიეს და ქვეყნის სახელი საერთაშორისო ასპარეზზე გაიტანეს. ფილმი მოგვითხრობს ასევე ელჩების შესახებ, რომლებიც იაპონიაში მოღვაწეობდნენ. პრემიერის დღეს მსმენელი იაპონური სიმღერით დაატკბო ანსამბლმა „მართვემ“.

„ᲓᲠᲐᲙᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ“ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲡᲔᲖᲝᲜᲘ ᲔᲙᲠᲐᲜᲔᲑᲖᲔ

HBO-Ს ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲞᲝ�პᲣᲚᲐᲠᲣᲚᲘ ᲡᲔᲠᲘᲐᲚᲘᲡ „ᲓᲠᲐᲙᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ“ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲡᲔᲖᲝᲜᲘ ᲔᲙᲠᲐᲜᲔᲑᲖᲔ 2024 ᲬᲚᲘᲡ ᲗᲐᲕᲨᲘ ᲒᲐᲕᲐ. ᲡᲔᲖᲝᲜᲨᲘ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ 8 ᲡᲔᲠᲘᲐ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ – ᲝᲠᲘᲗ ᲜᲐᲙᲚᲔᲑᲘ ᲕᲘᲓᲠᲔ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲨᲘ. ᲐᲛᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲐᲓ HBO-ᲨᲘ ᲡᲔᲖᲝᲜᲘᲡ ᲡᲘᲣᲟᲔᲢᲘᲡ ᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐᲕᲔᲜ, ᲠᲝᲛ ᲔᲡ �გᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐ ᲡᲔᲠᲘᲐᲚᲘᲡ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘᲡ ᲨᲔᲛᲪᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲣᲚᲘ.

„ᲓᲠᲐᲙᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ“ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲔᲖᲝᲜᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲐ 2022 ᲬᲚᲘᲡ 21 Ა�გᲕᲘᲡᲢᲝᲡ ᲨᲔᲓᲒᲐ. ᲡᲘᲣᲟᲔᲢᲘ ᲯᲝᲠᲯ ᲛᲐᲠᲢᲘᲜᲘᲡ ᲠᲝᲛᲐᲜᲖᲔ „ᲪᲔᲪᲮᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲘᲡᲮᲚᲘ“ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲤᲣᲫᲜᲔᲑᲣᲚᲘ. ᲡᲔᲠᲘᲐᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲒᲝᲜᲘᲚᲘ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝᲨᲘ - ᲕᲔᲡᲢᲔᲠᲝᲡᲨᲘ ᲢᲐᲠᲒᲐᲠᲘᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲤᲝ ᲓᲘᲜᲐᲡᲢᲘᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲝᲛᲖᲔ ᲛᲝᲒᲕᲘᲗᲮᲠᲝᲑᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ „ᲓᲠᲐᲙᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲪᲔᲪᲕᲘᲡ“ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲗ ᲐᲠᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ. ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲔᲑᲘ „ᲡᲐᲛᲔᲤᲝ ᲙᲐᲠᲘᲡ ᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ“ ᲡᲘᲣᲟᲔᲢᲐᲛᲓᲔ ᲗᲘᲗᲝᲥᲛᲘᲡ 200 ᲬᲚᲘᲗ ᲐᲓᲠᲔ ᲕᲘᲗᲐᲠᲓᲔᲑᲐ.

ᲛᲔ ᲯᲔᲠ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲪᲝᲪᲮᲐᲚᲘ ᲕᲐᲠ!

ᲡᲐᲛᲓᲦᲘᲐᲜᲘ ᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲠᲝᲛᲘᲡ ᲞᲐ�პᲘ ᲤᲠᲐᲜᲪᲘᲡᲙᲔ ᲒᲔᲛᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝᲓᲐᲜ ᲒᲐᲬᲔᲠᲔᲡ.

ექიმების რეკომენდაციით, რომის პაპის ჯანრთელობის მდგომარეობა მისი საავადმყოფოდან გაწერის საშუალებას იძლეოდა.

ამასთან, მედიის ცნობით, რომის პაპი ფრანცისკე საავადმყოფოსთან შეკრებილ ადამიანებს მიესალმა და რამდენიმე მათგანს გაეხუმრა: **„მე ჯერ კიდევ ცოცხალი ვარ“.**

რომის პაპი გემელის საავადმყოფოში ოთხშაბათს სუნთქვის გაძნელებით გადაიყვანეს. მოგვიანებით მას ბრონქიტი დაუდგინდა.

ᲣᲤᲐᲡᲝ ᲡᲐᲭᲛᲔᲚᲡ ᲨᲔᲔᲬᲘᲠᲜᲔᲜ

ᲞᲐᲙᲘᲡᲢᲐᲜᲘᲡ ქᲐᲚᲐᲥᲘ ᲙᲐᲠᲐᲩᲘᲨᲘ, ᲣᲤᲐᲡᲝ ᲡᲐᲙᲕᲔᲑᲘᲡ ᲠᲘᲒᲨᲘ ᲛᲝᲛᲮᲓᲐᲠ ᲭᲧᲚᲔᲗᲐᲡ ᲡᲣᲚ ᲛᲪᲘᲠᲔ 11 ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲔᲛᲡᲮᲕᲔᲠᲬᲚᲐ, ᲛᲘᲜᲘᲛᲣᲛ 10 ᲙᲘ ᲓᲐᲨᲐᲕᲓᲐ.

გავრცელებული ცნობით, შემთხვევა მაშინ მოხდა, როცა რამადანის დღესასწაულთან დაკავშირებით კერძო საწარმოს ტერიტორიაზე საკვებს არიგებდნენ, რის გამოც, ტერიტორიაზე თავი ასობით ადამიანმა მოიყარა. პოლიციის თანამშრომლის განცხადებით, მომხდარზე ექვსი ადამიანი დააკავეს, მათ შორის ფაბრიკის მფლობელი, რომელსაც ადგილობრივი ადმინისტრაციისგან ნებართვა არ ჰქონდა აღებული მსგავსი აქტივობის მოსაწყობად.

ᲤᲠᲘᲙᲐᲓᲔᲚᲔᲑᲘ... ᲛᲐᲛᲝᲜᲢᲘᲡ ᲮᲝᲠᲪᲘᲓᲐᲜ

ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲣᲠᲛᲐ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐᲛ Vow, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲣᲠᲘ ᲮᲝᲠᲪᲘᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲡ ᲢᲔᲥᲜᲝᲚᲝ�გᲘᲔᲑᲖᲔ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲡ, ᲛᲐᲛᲝᲜᲢᲘᲡ ᲮᲝᲠᲪᲘᲡ ᲐᲜᲐᲚᲝᲒᲘ ᲨᲔᲥᲛᲜᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲡᲢᲔᲠᲓᲐᲛᲘᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲠᲔᲡᲢᲝᲠᲐᲜᲨᲘ ᲬᲐᲠᲓᲒᲘᲜᲐ.

კომპანიაში განაცხადეს, რომ პროექტის მიზანია უჯრედებისგან გაზრდილი და ცხოველების დახოცვის გარეშე მიღებული ხორცის პოტენციალის დემონსტრირება, ისევე, როგორც დიდი ზომის ცხოველების კვების პროდუქტად გამოყენების ველურ ბუნებასა და კლიმატის ცვლილებაზე გავლენის ჩვენება. მამონტის ხორცის მისაღებად კომპანიაში ამ გადაშენებული ცხოველის გენომის შესახებ არსებული მონაცემები გამოიყენეს, მის შესავსებად კი მამონტის უახლოესი ცოცხალი ნათესავის – აფრიკული სპილოს გენომის ნაწილები აიღეს. მიღებული დნმ-ი ცხვრის უჯრედში ჩასვეს და ამგვარად მიიღეს უჯრედი ქიმერული გენომით. შემდეგ ეს უჯრედები ბიორეაქტორში გაზარდეს, სანამ ფრიკადელის შესაქმნელად საჭირო რაოდენობა არ მიიღეს.



„ეს ძალიან მარტივი და სწრაფი პროცესი იყო. ყველაფერი ორიოდე კვირაში გავაკეთეთ!“, – განაცხადა პროფესორმა ერნსტ ვოლვეტანგმა, რომელიც კვლევაში მონაწილეობდა. მისივე თქმით, მამონტის ხორცი ჯერ არავის გაუსინჯავს, მათ შორის არც მის შემქმნელებს. **„ეს ცილა ათასობით წელი არ გვინახავს, ამიტომ წარმოდგენა არ გვაქვს, რა რეაქცია ექნება ამ ხორცის მოხმარებაზე ჩვენს იმუნურ სისტემას“,** – დასძინა მან.

ᲥᲣᲕᲔᲘᲗᲘ ᲛᲔᲠᲡᲔᲓᲔᲡᲘᲡ ᲐᲥᲪᲘᲔᲑᲡ ᲧᲘᲓᲘᲡ

ᲥᲣᲕᲔᲘᲗᲘᲡ ᲡᲘᲛᲓᲘᲓᲠᲘᲡ ᲤᲝᲜᲓᲛᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ Mersedes-Benc Group-ᲘᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲣᲛᲡᲮᲕᲘᲚᲔᲡᲘ ᲐᲥᲪᲘᲝᲜᲔᲠᲘᲐ, �გᲔᲠᲛᲐᲜᲣᲚ ᲐᲕᲢᲝᲛᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲔᲚ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐᲨᲘ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ წილს ᲐᲛᲪᲘᲠᲔᲑᲡ.

ქუვეითის სიმდიდრის ფონდმა გერმანული კომპანიის 1.5 მილიარდი დოლარის ღირებულების ოცი მილიონი აქცია მას მერე გაყიდა, რაც გასული სამი წლის განმავლობაში, ავტომწარმოებლის აქციის ღირებულება, ფაქტობრივად, გაოთხმაგდა. აქციების გასხვისების მიუხედავად, ქუვეითის სიმდიდრის ფონდი Mersedes-Benc Group-ის 6.8%-იან წილს შეინარჩუნებს. ამრიგად, ის კომპანიის რიგით მესამე ყველაზე დიდი აქციონერი იქნება.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ᲥᲐᲕᲥᲐᲕᲐᲫᲘᲡ ᲒᲐᲛᲖᲘᲠᲘ №170

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙ ᲯᲝᲑᲣᲚᲘᲐ
599 36-00-35

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲔ
ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲕᲐᲨᲐᲙᲘᲫᲔ
597-22-07-04

ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
ᲙᲐᲮᲐ ᲯᲝᲠᲘᲫᲔ

ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛ�გᲔᲑᲔᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘ:
ᲒᲣᲠᲐᲛ ᲒᲝᲒᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ
599 53-76-16;
ᲐᲚᲔᲥᲝ ᲐᲡᲚᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ
599 56-81-86;

ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲔᲑᲘ:
ᲨᲞᲡ 100 – ᲐᲮᲐᲚᲘ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ“ ᲒᲐᲖᲔᲗ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ“ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲔᲚᲘ“
599 36-00-35
ᲨᲞᲡ „ᲗᲘᲜᲐᲓᲒᲝᲛᲐ -1-ᲒᲐᲖᲔᲗ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ“ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲔᲚᲘ“
ტ: 599 79-76-79
ᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ ᲡᲢᲐᲛᲑᲐ „ᲙᲝᲚᲝᲠᲘ“
Ე. ᲒᲐᲚᲓᲐᲕᲐᲫᲘᲡ №3
ᲙᲝᲚᲝᲠ ᲯᲒᲣᲤᲘ

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
2 009882 616932

ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲧᲐᲓᲣᲠᲐᲓᲚᲔᲑᲝᲓ!
ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲨᲔᲣᲙᲕᲔᲗᲐᲕᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲘᲑᲭᲓᲔᲑᲐ ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲮᲐᲠᲯᲘᲗ. ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲛᲝᲡᲐᲖᲠᲔᲑᲔᲑᲘ, ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ, ᲛᲣᲓᲐᲛ ᲐᲠ ᲔᲛᲗᲮᲕᲔᲝᲓᲔᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐᲡ. ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲖᲣᲡᲢᲔᲖᲔ ᲞᲐᲡᲣᲮᲡ ᲐᲒᲔᲑᲔᲜ ᲐᲕᲢᲝᲠᲔᲑᲘ.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲛᲝᲛᲓᲔᲕᲜᲝ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲕᲐ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ, 5 Ა�პᲠᲘᲚᲡ

ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲕᲐᲚᲣᲢᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲘ:

ᲐᲨᲨ ᲓᲝᲚᲐᲠᲘ - 2.5563; ᲔᲕᲠᲝ - 2.7802;
ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲣᲚᲘ ᲒᲘᲠᲕᲐᲜᲥᲐ ᲡᲢᲔᲠᲚᲘᲜᲒᲘ - 3.1634;
100 ᲠᲣᲑᲚᲘ - 3.3040; ᲗᲣᲠᲥᲣᲚᲘ ᲚᲘᲠᲐ - 0.1367;
ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲣᲚᲘ ᲛᲐᲜᲐᲗᲘ - 1.5037;
1000 ᲡᲝᲛᲮᲣᲠᲘ ᲓᲠᲐᲛᲘ - 6.5748

ᲐᲛᲘᲜᲓᲘ 3 Ა�პᲠᲘᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ:

ᲑᲐᲠᲘ -	ᲦᲐᲛᲔ	0,	ᲓᲦᲔ	+22
ᲛᲗᲘᲐᲜᲘ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘ -	ᲦᲐᲛᲔ	-3,	ᲓᲦᲔ	+19

ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ:

ᲑᲐᲠᲘ -	ᲦᲐᲛᲔ	+5,	ᲓᲦᲔ	+23
ᲛᲗᲘᲐᲜᲘ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘ -	ᲦᲐᲛᲔ	0,	ᲓᲦᲔ	+21
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ:	ᲦᲐᲛᲔ	+5,	ᲓᲦᲔ	+23

ᲓᲐᲒᲕᲘᲠᲔᲙᲔᲗ, ᲛᲝᲒᲕᲬᲔᲠᲔᲗ:
ᲢᲔᲚ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ᲔᲚ. ᲤᲝᲡᲢᲐ: sakresp@top.ge
ᲓᲐ sakresp@mail.ru
ᲕᲔᲑ-ᲒᲕᲔᲠᲓᲘ: www.sakresp.ge